სახლში არ გაიცემა

# ცისკარი

1858

იანვარი. წიგნი პირველი

ტფილისი

ჟურ. კერესელიძის ტიპოგრაფიაში

# სალიტერატურო

# ჟურნალი

გამოცემის ი. კერესელიძის-მიერ

---

წელი პირველი

---

ტფილისი

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

---

1858

Печатать позволяется. Января 3 дня, 1858 года.
Испр. должн. Груз. Цензора Св. Алексѣевъ.

# ლექსები.

## გამოსალმება.

მესალმე ჩემო თვალის სინათლევ;
მესალმე ჩემო ბედნიერებავ,
ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლევ,
ვესალმი შენცა, კეთილ-ცხოვრებავ!
განშორების საათმან დაჰკრა,
მშვიდობით სოფლო, მშვიდობით გნახო,
მაგრამ სად გნახამ? ტყვილი არს ნატვრა,
უნდა ტანჯვაში დღენი დავმარხო.
ვერს არა მომცემს თვე მაისისა
და დილის ცვარი არ გამაფხიზლებს,
არცა გამათბობს მე სხივი მზისა,
ღამეც არ მოჰგვრის ძილსა ჩემს თვალებს.
უნდა მწარეთი დღე ვაფრქვევდე ცრემლითა;
უნდა მიხრამდეს გულისა ნაღველი,
განუშორებლივ შენი სახელი,
არ შორდებოდეს ბაგეთა ჩემთა!
ნეტარ რათ მომცა ღმერთმან მე გული,
რათ დავინახე მე შენ თვალითა,
ნუ თუ მისთვის, რომ სიმწუხარითა,
ოხვრით და ტანჯვით ამომხდეს სული?
მაგრამ არ ვნანობ, რომ ყმაწვილობა,
ვითარ თვეს ვარდი შენ შემოგწირე,
თუმც დამრჩენია სიცოცხლე მცირე,

## ცისკარი.

გარნა სიცოცხლეს ემატა გრძნობა:
ოდესმე ბედი შენ გაგიღიმებს,
კვალად მოგიყვან სადგურს მშობლისას,
მაშ..ნ იხილომ საფლავს მდებარეს,
მსხვერპლის უბედურის სიყვარულისას.
იქნება ერთხელ სასაფლაოზედ,
გამოიარო ჩაფიქრებული,
თუ რომ მონახამ ჩემს სახელს ქვაზედ,
იქიდგანა ჰსცნობ რომ სიყვარული,
ამა სოფლიდგან, წამყოლია თან!...

გრ. ორბელიანი.

## ბულბული.

ჰგალობ ბულბულო, ვარდთა შორის, წყნარის ბაღისას,
ნარნარის სტვენით, მიმტაცებ მე, სევდას გულისას,
განაგრძე ყეფა, კაშკაშებულს მთვარის ღამისას,
რადგან ხმა შენი, ფრიად ატკბობს სმენას ყურისას!

უწყვეტლად ცრემლნი მსდიან ღვარად, თვალ-თაგან ჩემთა,
რა სტვენა შენი მომაგონებს, დროთ უწინდელთა.
არ სქთუა მიგსედო, იმ გვართ კაცთა, მათ უგრძნობელთა,
რომელთაც სრულად არ უწყიან: — ვინ ჰსჯობს ფრინველთა.

# ლექსები.

ახ! მომაგონდა სასხოვარნი, იგი ღამენი,
როს ვაზთა ქუჩშე, შორს მესმოდა, ტკბილი ხმა შენი,
ხშირ ჰყოფდა ოხვრას და ატკბობდენ, ეგე ზაგენი,
და ხმითა შენით მრთლად ხარობდენ, იგი არენი!

მე მარტო მყოფსა, ღამესა მას, არ მყვა ნუგეში,
მაგრამ შენმა ხმამ შეწვნას მიმცა, ვჰსთქვ: ვარ ედემში,
რა ღამე წარხდა, აღარა სჩნდი, შეხვედ ღილეგში,
სმზმრად აღმიჩნდი, დავშთი ობლად, მე იმ არეში.

ბულბულო რადგანც განმაშორე ის გარმონია,
რომლითაც ტკბილ ჰყავ, სულ გრძნობათა გარე-მონია,
უშენოდ ჩემთჳს, ქვეყანად ყოფნა, უგვარგონია,
მაშ უმჯობეს არს, მთავრდეს მიწად, ასე მგონია!

როს ვწვე საფლავსა და არა მყვეს მუნ მეგობარი,
ბულბულო ნაზო! რადგანცა ხარ არ ვის სადარი,
იქ მაინც მნახე, მომიგონე მიწაში მკვდარი,
იწყე სტვენა და ანუგეშე, ჩემებრ დამწვარი!-

ივ. კერესელიძე.

# ცისკარი.

## თხისა და მელისათვის.

თხა და მელა მეგობარნი მიდგნენ ჭის პირს სმად წყალისა,
უფრთხილობლივ შიგან ჩახდა ცრუ მოყვარე ძმაჲ თხისა,
ჩაეშველა მყის თხეცა ნუგეშინის ცემად მისა,
მელამ მაღლა მოახსენა, ტკბილის ენით შეათვისა.

ორნივ ზრუნვით მჯუნად მსხდომნი ცდილობდნენ მის ამოწევას,
უღონო ქმნილს რქოსანსა, მელამ ჰრქუა თუ, გეტყვი რჩევას,
შენ ფერხთა ზდექ. რქათ მე აღვალ და დაგიწყებ ამოზევას,
მივხვდებით. ამ სახით ორნი საწადელის ჩვენ მიწევას.

თუმცა მარად თხა ცბიერი მოტყუვდა ამა თქმულითა,
სიტყუა მზაკვრისა ირწმუნა შეუდგა საქმით სრულითა:
მელა აღვიდა ზედ ჭასა, ჰრქაზედან დაკიბულითა,
თხა ხმობდა: აცა მზიდეო შემწეობისა გულითა!

ჩასძახა: რა გყო არ მაღმიძს? ჭა სიღრმით დასამჯერია,
გქონდა ჭკუა ვგონებ, გაქვს რაოდენცა წვერია,
რას ჰქარავ, დიდი მცირემან აღგზიდო? რად ხარ შტერია,

# ლექსები.

რადგან შენ გეკჰარ ცრუ სპარსთა ამით ხარ და-
სამდურის!

თ. ალ. ჭავჭავაძე.

## ანბანთ ქება.

ახლად აღვამკობ ალვასა, ანაგებ, ანასლებულსა,
ბროლ, ბალახ, ბადრსა, ბაკიანს, ბუნებით ბრწყინვა-
ლებულსა;
გავსილსა, გამთვარებულსა, განგებით გახარებულსა,
დაგტრფი, დაგხარი, დაგზრუნავ, დღითიდღე დარა-
ჯებულსა.

ელვარებით ელემოვნობს, ელფერობით ეშხიანობს,
ვერა ვბედავ ვებულბულო, ვკითხო: ვისთვის ვარდი-
ანობს.
ზოგჯერ ზრდილი ზნეობითა, ზეიმობს და ზარიანობს,
ჱეთერულთა ჱეჯუფთების, ჱელეონობით ჱელვიანობს.

თმანი თიხზულნი თანაგრძუჩად, თანაჰსწორებით,
თჳთოულად,
იკაზმიან ინდოულად, იტანებენ იასრულად,
კავნი კოწლებ კიდებულნი, კოშწოიბენ კეთილ კრუ-
ლად,
ლმობიერობს ლოუა ლბილო, ლაშებ-ლაშობს ლა-
მაზულად!

# ცისკარი.

მელნისა მორევს მსხდომელნი, მოხდომით მოცანარენი,
ნავნი ნატიფად ნაქმნარნი, ნარგიზთა ნაზუდარენი,
ოჭნივ ოდიდგან ოჭგულთა, ოროლით მოისარენი,
პერი პოტოველთ პოვნილი, პერობილნი პატიმარენი.

ჟამად ჟიჟინებ ჟოვჟოვით, ჟღლუტუნით ჟღრიალებული,
რათიებთა რევს როკვითა, რეულად რხევით რებული,
სვეს სვიანობით სალუქობს, სანდობი სხჳა ჲ სხვებული,
ტუპკაბით ტარობს, ტრუფაობს, ტოლთაგან ტრფიალებული.

უხდება უსუფთაობა, უკაზმავს ურიდალობა,
ფაქიზობით ფარავია, ფარდისა ფიაფალობა,
ქვეყნად ქებულნი ქონიათ, ქართველთა ქცევა ქალობა,
ღაწვთა ღაჟღაჟთა ღვივიან ღიმილით ღიმიალობა.

ყმანი ყალბობენ ყურებად, ყოველთვის ყიჟად ყრილობენ,
შეხედვით შეშინებულნი, შვებითაც შეცაშლილობენ,
ჩემნი ჩახატვით ჩაზნელნი, ჩრდილოეთს ჩანებულობენ,
ციერთა კედვენ ციმციმით, ცისკროვნებზედან ცილობენ.

ძოწთა ძიება ძალითა, ძნიადობს ძნელოვნებასა,

# ლექსები.

წარჩინებული წერ-წეტად, წვლილ წელით წარმოვ-
ნობასა,
ჭაბუკა ჭვირობს ჭვრეტასა ჭელტობით ჭრელოვ-
ნებასა,
ხელთათჳს ხილვით ხორშაკობს, ხოტბითა ხორშა-
ნებასა.

ჴშირად ჴმობით ჴელმწიფურად ჴორსა ჴმობს
ჴმა ჴაჟობით,
ჯაბნით ჯილდობს ჯიდოანთა ჯაშარატობსცა ჯვა-
რობით,
ჰაა ჰაი! რამან შეგქმნა, ეგრეთ ტურფა ლამაზობით?
ჵი! რა მექმნა მაშ არ მეოქვა: ვისთჳს დავშვერ
ქვე ა მკობით?!

დიმ. ბაგრატოვანი.

## ლომი, შემადგენი სამჯავროჲსა.

ლომმან რალსიც სამჯავროს საქმეთა განსაგებათ
გამართა დასხა მასშია სპილონი მდივანბეგათა,
და მათთან თანამშრომელად მომატებულად ვირები,
თუმცა სპილოთათჳს ვირებთან სხდომა არს დასამ-
ცირები.
მაგრამ რა ლომმან, რაც რიცხვით საჭიროდ იყვნენ
სპილონი,
ბევრი იზრუნა, ეცადა და ვერ შეჰკრიბა იმდონი.
შეიქმნა იძულებული,

## ციხკარი.

რომ იმა სამჯავროშია ვირებსაც მისცა ადგილი:
იმისის ფიქრით უთუოდ თუ რიცხვით ერთი ჰკლე-
ბოდა,
წესისებრ საქმის მსვლელობა საკვირველად შებორ-
კილდებოდა.
ანა როგორ შეიძლება? წესდებულება დაირღვეს?
ისხდნენ თუნდ ვირნიც მსაჯულად, ოღონდ რიც-
ხვი შესრულდეს.
გარდა ამისა, რის ლომი მას სამსჯავროსა ადგენდა,
სრულებით დარწმუნებული გულსა იმედით ალხენდა,
რომელ ჭკუა ბრძენთა სპილოთა, ვირთაც მისცემდა
გონებას,
და საქმეთ წარმოებაში ვეღარ ნახავდა ყოვნებას.
მაგრამ სამსჯავრო რა გახსნეს
და რაკი განსჯა დაიწყეს,
აი, საქმეთა იმაში როგორის წესით იდინეს:
ვირთა ბუნებით სულელთა სპილონიც ჭკუას შეაც-
დინეს.

დიმ. მგალობელოვი.

## მდყურჭა კავკაზიის მთისა.

ჰოი საზარელო მთავ, კაცთა მსრველო,
სისხლითა ჰსვერე, გულს მწვავნე მდელო!
მამაცთა გული, შენ ვერ ამთელო,
სიკუდილის ცრემლით, არვის გვანელო!

# ლექსები.

შენგან საგლოვნი, უბედურ დღენი,
სისხლით შეჰბასრე, ტყენი ჲ ველნი,
დღეს აგვიოხრე, ცხოვრება ჩუენი,
მკვდრით მემამულეთ, მოგვრივნნე მტერნი.

რავთონ გზით მოვთქუა საბრალო დრონი,
სად ჭაბუკთ დანთქმა, ან ტყუეობანი,
არ შევიბრალე ჭაბუკნი ტყუენი,
გაუქმენ შრომა ჲ მალნი ჩუენი.

მლევვით გვამლივე, მაჰმადიანნი,
ჴელთ იგდეს ვარდნი, ზამბახთ იანნი,
მათთჳს საწუთრო აღარ მზიანნი,
გიშრის ტბის ცრემლით შავბედ გზიანნი.—

ვაჲ ჩინებულნი, დიდებულთ ჰსქესნი,
ნაზნი, ნარნარნი სულთა უტკბესნი,
შვების წალკოტნი, ტოლთ უდარესნი.—
ერიქოთ მკულნი, ციერთა დასნი.

მკვდრით მშობელს მამულს განშორებულან,
უჰსჯულოთ ჴელთა დამონებულან,
დღეს უგანგებოთ განმჩადებულან,
ვაჲ სინანულნი კეთილნი სულნი.—

სად შუების ნაცულად, დაჭმუნებულან,
უფრსკულს ჰატიმრად, დაბნელებულან,
მუხთალის მამით განმწარებულან,

# ციხკარი.

დღეს თჳს დიდების, ნუგეშს კლებულან:

ვითა ციერნო, წალკოტსა ჭრგულნო;
ედემის მტილნო, ევფრატით რწყულნო,
ხოვლისა დღეთა დიდების ცრცვლნო,
მოულოდნელის დღით განწირულნო! —

რა გაების ხმით, თუალთ ცრემლნი გვდიან,
ხეთაც და ქუათაც, შავნი მოსიან,
ზოგნი შვლთ ჰსტირიან და ზოგნი ძმათა,
მოყუასთ უწყალოთ დანთქმას ჰსჩივიან.

სრულად მოიმთო, ცხოვრება ჩუენად,
მქუდართაცა იგრძნეს, საფლავსა წყენად,
მქუალნიცა თრთოდენ, მათთა საშუელად,
მათ სისხლის წყარო ეგონათ ცრემლად.

დღეს ვხედავთ მამულს აოხრებულსა,
მშობელს სამკჳდროს გაუქმებულსა,
გლოვნით და ცრემლით, მტერთა მძლეულსა,
ხეთაც და ქუათაც დანაცრებულსა. —

რისხუა გვეწივა, მაღლის ზეცისა,
ზოგსა ჰფარვიდა მაღლ დიდებისა,
უცილოდ იქმნა, მიზეზ ნებისა,
ჩუენ დასამხობლად, სახმილს გზებისა. –

ვნეინა ეფ. ჯანდიეროვისა.

# ლექსები.

## ვარდი და ბულბული.

(ფრანგულით)

ერთხელ რა ახლოს ხეს მჯდომი, ვარდმან იხილა ბულბული,
უთხრა: მსმენია რომ ხარობს შენის ხმით ყველა სულდგმული!
ხმისა მაგ შენისა ქება, თუმცა ყოველგან მსმენია,
მარამ არა მრწამს ვიდრემდის ჩემთ ყურით არ გაუგონია.
მისთვის მსურს ყური ვისმინო, და ვიქმნა მე თვით მსაჯულად.
რა ესმა ესე ბულბულსა დამღერა თავისებურად.
ხან დაუსტკვინა, დაჭყივა, ხან ჩუმ დაჰკვნესა საწყალად,
და ასტეხა გარსმეოხენი ხმა ესმით მისთა მგზალად
ზოგჯერ ნახათ და ნაზათ მისი ხმა მისუსტდებოდა,
და მაშინ შორით საამოდ — სალამურივით ისმოდა,
ხან და ხან მაღლივ რაკრაკით-არეს განადიდებდა,
აატირებდა ზოგს თუმცა, ზოგს ეშხით გაადამებდა.
მის ხმა რა განსხდა მის არეს, მყისვე დადუმდა ყოველი,
ნიავი შესდგა, შეჩერდა ჩურჩხა ყოველი ცხოველი,
მწყემსმა მირს დასდვა დუდუკი, თვის ჭმუნვით გამქარწყლებული,
მგზავრს დაავიწყდა თვისი გზა, და იქმნა მისი მსმენელი.
ბულბულმან თვისნი გრძნობანი, თუ მგზნებარობა თუ ტანჯვა

## ცისკარი.

თუ ეშხით შებორკილება, ვარდთან მუხლდრეკით თუ აჯა.
რა რაც ვარდისგან მიეღო, ყველა სამღერით წარ-მოსთქვა.
ბოლოს დადუმდა და მაშინ, ვირმან ყურები დაუშვა,
რქჳა: ოჰ! მართლად რომ შენის ხმის სმენა არავის მოაწყენს,
მეცოდები აწ გარნა კი, რომ შენ ვერა სცნობ მამალს ჩუენს.
მისგანცა გესწავლა რომ ცოტა რამ, მის საკვირ-ველი ანგები,
მაშინ მერწმუნე უფრორე, შეიქმნებოდი საქები.
ეს სჯა ბულბულს რა ესმა, კინდა გაუსქდა მას გული,
ჯავრით აღფრინდა საბრალო მოთმინებისგან გა-სული,
ხმა მის ფრინველთა მეფასი იყო ვით დაფასებული?
ჰე ღმერთო! ჩუენცა გვაშორე, მისებრივ ბრიყვი მსაჯული!

ივ. კერესელიძე.

## თეჯლიში.

მობრძნეთ დასნო შემოკრბით აწ ქებად,
სამოთხისა წალკოტის მოშორებად,
ვისაც გსურისთ მუნვე ყოფა, ცხოვრებად,
გირჩევთ ტრფობა დაიმარხოთ გონებად.

# ლ ე ქ ს ე ბ ი .

ვით გაფურჩქჳნით ვარდი წალკოტს გაშლილა,
მაგრამ ეკლით მოზღუდვლი განგლილა,
მისი მჭვრეტი გლახ ბულბული შეშლილა,
ღობეს გარე ცდილობს თავის დაგებად.

ჰკითხეთ რეგვენს მის მეშტილეს ვითა ჰსცავს!
ან თჳთ ვარდი რადა მონებს რადა ჰყავს?
ვინცა ჭევლით დღე ყოველთჳს არა ჰრთავს,
იგი ვით ჰყოფს წალკოტის აღშენებად.

ეჰა! ვარდო, თუცა ჰხადო შენს ბულბულს,
მაშ უბრძანე ჰჭეთა განხმა მცჳწლს სუმბულს,
ნახავ მაშინ მოჭიკჭიკეს გულ კლებულს,
როს გიუნოსებს მის სულისა ფონებად,

რაზამ ჰსტუწნდეს, რაზამ ჰყეფდეს იგია,
თავდახრილი შენ გეტრფოდეს იგია,
თჳთ მეშტილეცა შეხაროდეს იგია,
შენცა-მზა ჰყო თავი თჳსი შეხებად.

ოდეს შენს რტოს მკადრებული დაცასჯდეს,
სიხარულის კმოვანება განცახდეს,
მისას შურით უჳავილოთ დატკჳვინჳა აღცასტუდეს,
ყარამფილი უბრძანებდეს განმებად.

ბულბულს ტრფობა მარადის აქჳს შენია,
სულს მოგიძღვნის, გულს შეგწირავს შენია,
იერიქოდ კჳალად წარჳალს შენია,

# ცისკარი.

მუნ დამკვიდრდეს სამარადო საშუებლად.

შენხარ მეფე შორის ყვავილთა ვარდო;
შენხარ ფუშკევით საწალკოტო სავარდო,
ჭელ სატკბოთო არსად გარდასავარდო,
მაგრამ შლილობ ჩემდა ფრიად სავნებლად.

## სოფლის სამდურავი.

აჰ სოფელო! არავინ არს, ვინ შენზედ არ
სჩიოდეს,
თუ კეთილი მიზდგომოდეს, მაინც გული არსტკი-
ოდეს;
არ მიხედავ სიყრმის წელთა, არცა მხცოვანთ
გარდასრულთა,
ვინც შეგხვდება მიიტაცებ, თუცა კელსა განგი-
ზვრობდეს;
გლახ მტირალთა მისთჳს მწარედ, არ აღირსებ
სიბრალულთა,
აღურიცხლად მიიზიდავ, ყველას ჰმართებს მისთჳს
გმობდეს;
ნეტარ გვითხრა: სად ამკვიდრებ, ამიერით წარ-
მოსრულთა,
რის ნუგეშით დაადგინებ, ან რას უნდა შეხაროდეს;
ზოგჯერ ესრეთ განძჳნდები, აღმოუფხვრი სახლე-
ულთა,
არ უტევებ მოსახსენალ, ვინა სახლსა განაგებდეს,

# ლექსები.

ფუ! შენ ცრუო და მუხთალო, მარად ჩუენგან
საგიებო,
არავის არ შერჩენიხარ, ჰხამსთ ამისთჳს გაგინებდეს:

თ. დ. ციცი-შვლი.

# ცისკარი.

## შჳლი უმანკოებისა.

### დრამა ხუთს მოქმედებად.

თხზ. ი. კერესელიძისა.

### მოქმედნი პირნი.

მილიციის მაიორი, თავადი დიასამიძე.
პელაგია, ქალი ამისი.
დიონოსე, დიაკვანი იმერეთს აღზრდილი.
თავადი მიხეილ შერაშიძე, ფრანტი რუსეთში აღზრდილი.
სალომე.
გრიგოლი, ახალგაზრდა მილიციონერი.
სოფლელი გლეხ-კაცი და იმისი ცოლი.
მოურავი დიასამიძისა.
მიკიტანი.
ნაცვალი.
ახალგაზრდა ქალი გლეხ-კაცისა.
მონადირენი და მოსამსახურენი.

(მოქმედება წარმოსდგების სომხეთის მხარეს,-ალგეთის ხეობაზედ.)

# შვილი უმანკოებისა.

## მოქმედება პირველი.

(სცენა წარმოადგენს გზასა, რომელიცა შევალის სოფელში და სოფელიცა მოჩანს პირდაპირ. გზის პირს მიკიტნის დუქანი არის გამვლელ-გამომვლელთათვის.)

### გამოსვლა 1.

მიკიტანი და სალომე.

მიკიტანი.

(თრევით გამოჰყავს დუქნითგანა სალომე, რომელსაცა აცვია მგლოვიარული ტანისამოსი, ჰსჩანს რომ ავათ არის, მაგრამ პირს კიდევ ეტყობა სიყვარულიცა.) არ არის ადგილი დედავ! არ არის ადგილი მეთქი, გეუბნებიან რომ არ არის!... დღეს ამ დუქნის მოშორებით ეკლესია უნდა აკურთხონ და აბა ახლა გასინჯე, თუ რამდენი ხალხი მოვა სანახავათ, კურთხევის უკან ამ ჩემს დუქნისაკენ გამოსწევენ დასასვენებლათ, აბა სად იქნება შენთვის ადგილი რომ შენც აქ იყო, ერთი კარგა იფიქრე და!... ერთი დღე ძლივს შემხვდა მოგებისა და შენც ახლა ამიტყდი?

სალომე.

როგორ არა გრცხვენიან რომ მაგდებ სახლითგან საწყალსა და ავათ მყოფს დედაკაცსა.

## ცისკარი.

მიკიტანი.

კი არ გაგდებ, გითხოვ რომ მეტი ადგილი არა მაქვს.

სალომე.

უნდა იცოდე, თუ მაგ შენ სასტიკ ქცევაზედ როგორ მტკივა გული!

მიკიტანი.

ნუ ჯავრობ ტყუილათ, აბა რას ჯავრობ?

სალომე.

მე შემომეხარჯა უკანასკნელი ფული შენს სადგომში, და ახლა კი მაგდებ!

მიკიტანი.

მეც მაგას ვამბობ რომ შემოგეხარჯა ფული და მე მუქთათ ხომ არ გაჭმევ პურსა.

სალომე.

ვინ გეუბნება მუქთათ მაჭამეო, საქმეს გაგიკეთებ როცა მოვრჩები და ნუ მაგდებ შინათგან, აბა ვის მივმართო ესრეთ საწყალმა?

მიკიტანი.

სად შეგიძლიან საქმის გაკეთება, რომ ძლივსღა ლაპარაკობ. ხელები შენი ძლივსღა მოქმედობენ. —

სალომე.

ღვთისაგან არ დავკარგავ კიდევ იმედსა. ღმერთი მოწყალეა, იქნება მოვრჩე!

მიკიტანი.

როდესაც მორჩე მაშინ მოდი! ახლა?

სალომე.

მინამდისინ? სად დავსდგე? როგორ ვიცხოვრო?

## შვილი უმანკოებისა.

ვის შევაფარო თავი?

მიკიტანი.

კარგი დღეები არის, ახლა ყოველგან დაიდგომდება.

სალომე.

ეგ მართალია ვსთქვათ მაგრამ, ამ ჩემს ღარიბს მკელ-მულს ტანისამოსს რომ არ შეუძლიან და-მიცვას წვიმისა და სიცივისაგან.

მიკიტანი.

მზე ამოვა და ხელახლად გაგაშრობს.

სალომე.

ვსთქვათ რომ ეგეც აგრე იყოს, ვინ მომცემს ერთს ლუკმა პურს რომ მოვიკლა სიმშილი?

მიკიტანი.

როგორც გინდა მოიკალ სიმშილი მე რა მენა-ღვლება, ჩუენი ღვდლისაგან ილაჯი იყო გაწყვეტი-ლი სულ ამას იძახდა «კაცსა საზრდოს ის მისცემს ვინცა ზრდის და ინახავს ფრინველთაო». რა ვიცით, იქნება შენზედაც ახდეს ესა.

სალომე.

ულმობელო კაცო! ხომ კარგათ იცი რომ მრთე-ლი ორი დღე არის არა მიჭამიარა.

მიკიტანი.

ავათ მყოფები ძალიან ცოტასა სჭამენ.

სალომე.

გეფიცები ღმერთსა, რომ შემდგომს წმინდათ გაგი-სწორდები, ახლაკი პური გამიმძღე.

# ტიხვარი.

მიკიტანი.

ბევრს ნუღარა ბოდამ ერთი თუ ღმერთი გრწამს, რაც არა გაქჳსრა, რით გამისწორდები. მეტადრე ახლა, ამ სიძვირეში, რომ ყოველი კაცი თავის თავისათჳს უნდა ფიქრობდეს.—

სალომე.

ახ! განა ასე ყოფილა? რომ ღარიბები უნდა კვდებოდნენ სიმშილითა!?

მიკიტანი.

რისთჳსა კვდები! აი, მე შენ გეტყჳ, როგორც იშოვნი ფულსა: აი გზა, ამ გზაზედ ყოველთჳს ფეხ-უწყვეტლათ ხალხი დადის! დაჯექი აქ ვინცა ვინ გაიაროს დაუწყე მოწყალების თხოვნა.

სალომე.

უნდა ვითხოვო მოწყალება?... მაშ ისევ სჯობია მშიერი მოვკვდე.

მიკიტანი.

ეე! კარგი ქალბატონი ბრძანებულხარ?... მე ვხედავ რომ შენზედ უფრო კარგები გლახაობენ!... მხოლოდ ერთი დაწყობა არის ძნელი, მერმე ისე წახალისდები, რომ ბევრიც გქონდეს ვეღარ მოიშლი.

(სალომე ჩამოჯდება წყნარად ქვაზედ ხის ძირში, რომელიცა დგას დუქნის კარზედ.)

მიკიტანი.

აგერ, უყურე, ვიღაც მოდის. მე შენ გასწავლი როგორც უნდა სთხოვო.

შვილი ყუმანკოლებისა.

## გამოსვლა 2.

ისინივე და გლეხ-კაცი, (ხურჯინით მხარზედ, მოდის გზაზედ.)

მიკიტანი.

გამარჯობა ძმაო!

გლეხ-კაცი.

გაგიმარჯოს.

მიკიტანი.

მადლი არის ძმაო, არ გაიკითხავ ამ საწყალს დედაკაცს?

(გლეხ-კაცი გაუვლის სალომეს გვერდს და წავა თავის გზაზედ.)

მიკიტანი.

არც ეგრე საჭირო იყო მაგის მოწყალების მოცემა, ეგ თჳთან გლახა არის და კელსაქმითა ცხოვრობს, რომლითაც შოულობს ერთს ლუკმა პურს. აი, აგერ შეხედე მოდის ჩიქჩნის სოფლის ნაცვალი, რომელიცა ძალიან მდიდარი არის, ამისთჳს რომ ყოველ კვირას საყდრის კარზედ რომ ჩაივლის ხოლმე, თითოს გროშს განხანაკში ჩააგდებს ხოლმე, იმისათჳს დიდი არაფერია რომ ერთის ლუკმის ფასი გაჩუქოს.

## გამოსვლა 3.

მიკიტანი, სალომე და ნაცვალი, (ნაცვალი წყნარიად შემოვა სცენაზედ.)

## ცისკარი.

მიკიტანი.

გამარჯვობა, ნაცვალო! აგერ ჩის საწყალი დედა-კაცი და ითხოვს მგზავრთაგან მოწყალებასა.

ნაცვალი.

სირცხვილი არ არის მაგისათჳს რომ გლახაობს! ახალგაზდა დედაკაცი არის, ხომ შეუძლიან მუშაობა?

მიკიტანი.

ავათ მყოფია.

ნაცვალი.

ამ ქვეყანაში კაცი ყოველს მწუხარებას უნდა აიტანდეს; ახლა ფული მჭირია: ხეებს არ ასხია რომ მოვკრიფოთ.

მიკიტანი.

ნახევარ პურის ფასი მაინც აჩუქე, ეს ორი დღეა არა უჭამთარა.

ნაცვალი.

(გაუვლის გვერდზედ.) პურის ფასი მქონდეს, ჩემთჳსაც კარგია. (გავა,)

მიკიტანი.

სჩანს რომ უბედური დედაკაცი ყოფილხარ, სთხოვე ახლა სხუასა, ყველა ხომ იმისთანა ძუნწი არ არი?

(მიკიტანი შედის თავის დუქანში.)

## გამოსვლა 4.

სალომე. (მარტო)

ახ! ღმერთო ჩემო! აქამდისინ მიფარავდი შენ

## შჳლი უმანკოებისა.

სინანულისაგან, მიიღე ახლაგა ჩემგან მხურვალე მადლობა!.. თუ რომე მექნებოდა ჯანი მაინცა, ამ შეიწროებას აღარ მივახწევდი, მაგრამ განუშორებბელმა ცოდვებამ მეტად დამტანჯა.—როგორ არა გრძნობს ნეტა ახლა ჩემი შჳლი, რომ იმის დედას არა აქვს ერთი ლუკმა პური!... მაგრამ ვინ იცის ცოცხალია თუ არა?... იქნება გრილს მიწაშიაც არის?. ახ, არა!-არა!-ღმერთი მრავალ მოწყალეა, სრულებით არ დამღუპავს მე. იმისათჳსა ვცხოვრებ და ვიტანჯები ესრეთ, რომ ღმერთს უნდა კიდევ მაჩუენოს ჩემი შჳლი.—მაგრამ შენკი! თჳთან შენ, რომელიცა ხარ მიზეზი ამ ჩემის ტანჯვისა!. მაგრამ, არა, არ შემიძლიან დაგწყევლო, ისევ ღმერთმან მოგცეს მშვიდობა თუ რომ დაიღუპებს უმანკოების წარმხოცველის ცოდვასა!... როგორ მშიერი ვარ!—როგორის მადლით ვჭამდი ერთს ლუკმა პურსა, რომ მქონოდა ახლა!—უნდა ისევ მოვითმინო, იქნება კეთილთა კაცთა, ამ გზაზედ გამვლელთა, არ მომახწიონ სიკვდილამდენ შიმშილითა.

### გამოსვლა 5.

სალომე და ახალგაზდა ქალი გლეხკაცისა, (კალათით მოაქჳს კვერცხები და პატარა სურით რძე)

გლეხ-კაცის ქალი.

აქ რასა ზიხარ დედავ?

სალომე.

ახ! შჳლო, სომ არ გექმნება ერთი ლუკმა პური?

# ცისკარი.

გლეხ-კაცის ქალი.

(დადგება სიბრალულის სახით.) პური? — არა მაქვს დედაშვილობამა. განა მშიერი ხარ?

სალომე.

მშიერი როგორ არავარ რომ ვკუდები მშიერი.

გლეხ-კაცის ქალი.

ახ! ღმერთო! ფულიც არა მაქვს რომ მოგცე, პურიც გუშაჩელა ვჭამე, აღარ დამრჩა. ახლა დედავ მივდივარ ქალაქს კვერცხების და რძის გასაყიდავათ და როდესაც დავბრუნდები, ღმერთის გეფიცები რომ ერთს გროშს გაჩუქებ. მაგრამ მანამდისინ რომ მშიერი იქნები? თუ გინდა რძე დალიე.

სალომე.

კარგი იქმნება შვილო! ყელს მაინც გავისველებ.

გლეხ-კაცის ქალი.

აი დედავ, დალიე! (სურის ტუჩს პირს მიადებს დიდის სიხარულით.) კიდევ მოსვი დედაშვილობასა, კიდევა.

სალომე.

ღმერთმა დაგსაჩუქროს შვილო, ღმერთმან გარდა-გიხადოსთ ისე, როგორც მე ახლა გამამეყვანე სიკვდილისაგან და მომეცი უჯათი.

გლეხ-კაცის ქალი.

მადლობა ღმერთსა! მშვიდობით დედაო! მშვი-დობით!

(წავალის სცენითგან სიმღერას ამბობს სოფლურადა)

## შვილი ყმაწვილებისა.

სალომე.

(რა უყურებს უკანით.) მეც იმისთანა ვიყავი, მეც ისე ვმღერობდი ხოლმე და ვმხიარულებდი, მეც ისე მიყვარდა კეთილის ქმნა, მაგრამ ახლა კი, ასე უწყალოდ მოვუძლურდი.

## გამოსვლა 6.

სალომე და მონადირე. (თოფით და მაღ-ღებით მინდორზედ გამოივლის სანადიროთ.)

სალომე.

ღმერთმა ბევრი ნადირი დაგახოცინოს კეთილო კაცო!

მონადირე.

(გვერდს გაუვლის.) ჰუ! დასწყევლოს ღმერთმა, რადა ბებერი დამხვდა, აბა ახლა დავხოცამ ბევრსა აი! რაკი ეს წყეული ბებერი დედაკაცი დამხვდა გზაში, ერთს ჩიტსაც ვეღარ მოვკლამ, ეშმაკები მოვიდნენ და წაიღონ შენი თავი! (გავა.)

სალომე.

გაკითხვის მაგიერათ გამლანძღა, ახ! ბოროტე-ბაო!... აგერ კიდევ ვიღაც მოდის, ეს კი მოლი-ციონერი არის, იმას რა ექმნება მე რა მამცეს.

ცისკარი.

## გამოსვლა 7.

### სალომე და გრიგოლ.

გრიგოლი.

(თოფი მხარზედ გაუგდია და სიმღერით მოდის, რა მოუახლოვდება დუქანსა დადგება და შეჰყურებს.) ახლა ერთი ლუკმა არაყი, რათაც უნდა ღირს, მეტადრე ამ სიცივეში! მაგრამ არა! ჯერ ჯიბეს უნდა დავეკითხო, მაქვს რამე თუ არა? (ამოიღებს შავს ფულსა და სთვლის.) მქონია მადლობა ღმერთს სადილის ფული, მაგრამ ვახშმათ რომ აღარ დამრჩება? ეჰ, ღმერთი მოწყალეა. ვახშმათ სხვას მამცემს! რა მწყურიან? ეი! მიკიტანო! (რა დაინახავს სალომეს.) ეს ვინაა? მგონია ჭვათ მეორეა, საწყალს სიკვდილის ფერი დასდებია, ყელსაც ძლივსღა სძრავს, ამ საწყალს შემწეობა უნდა.—განა კაცმა მოწყალება არ უნდა მისცეს მინამდისინ, მინამ არა სთხოვონ? მაგრამ ძნელი ეს არის, ამასაც რომ მივცე, არაყიც რო დავლიო, სადილის ფული აღარ დამრჩება? რა უშავს! არაყის მაგიერ წყალს დავლევ, წყალი მომიკლავს წყურვილსა და მე ვიქნები მხიარულად, რადგანაც ვიქმ კეთილს საქმესა. აჰ დედავ ფული! (მივა სალომეს ახლო და აძლევს ფულსა, რომელიცა უნდა მიეცა არაყში)

სალომე.

(დააცქერდება მილიციონერს და შემდგომს უცებ დაიყვირებს.) გრიგოლ!

# შვილი ყმაწვილობისა.

გრიგოლი.

(განცვიფრდება, დააგდებს ფულსა, თოფსა, ხურჯინსა, ქუდსა და მოეხვევა.) დედაჯან! (ორივე ხმა გაკმენდით არიან; ჯერ პირველად გრიგოლი მოვა გონსა.) დედაჯან! დედაჯან! მითხარი ღვთის გულისათვის, ეგ რა ამბავია შენს თავსა; რა მიზეზით დამხვდი მაგ საშინელს მდგომარეობაში.

სალომე.

(ცახცახით.) მე არ შემიძლიან... გამოვსთქვა შვილო ჩემო! საყვარელო გრიგოლ!-სიხარული...-სიხარული...

გრიგოლი.

დამშვიდდი დედაჯან! (მიიყუდებს მშობლის თავსა გულზედ.) როგორ ცახცახებ! გონია გულს გიწუხდება.

სალომე.

ძალიან უღონოთა ვარ შვილო... არც დღეს, არცა გუშინ, მრთელს დღეს არა მიჭამია...

გრიგოლი.

(ადგება შეწუხებული, ორივე ჴელებს მიიფარებს თვალებზედ.) ახ! ღმერთო ჩემო! (სტაცებს ხურჯინს! ჴელს და ამოიღებს პურსა.) აი დედაჯან პური. (ჰკრეფს ფულებსა ალაგითგან, ზოგს ჯიბითგან მოუმატებს.) აი დედაჯან, ფულებიცა მაქვს!... თუ ეს ფულებიც საკმაო არ არის, გავყიდი დედაჯან ამ ჩემს ტანსაცმელსა და შენკი მშიერი არ მოგკლამ! ახ, დედაჯან! ჩემო საყვარელო დედაჯან! (არახუნებს დუქნის კარებსა.) ეი! მიკიტანო!

# ცისკარი.

მიკიტანი.

(კარებიდგან თავს გამოჰყოფს.) რაო? რა გინდა?

გრიგოლი.

ერთი ჩარექი ღვინო, ჩქარა ამ საათში! ჰა!...

მიკიტანი.

ერთი ჩარექი?

გრიგოლი.

ჰო მეთქი, ჰო!

მიკიტანი.

ვისთვის გინდა?

გრიგოლი.

ჩემთვის! დასწყევლოს ღმერთმა! წადი ჩქარა!

მიკიტანი.

ნუ ჯავრობ ძმაო, ნუ ჯავრობ! ჯერ მითხარი ფული გაქვს თუ არა? იქნება ღვინო ჩადლიოთ და მე კი მერე ფული არ მამცე, მერე?

გრიგოლი.

აი ფული: ჩქარა მოიტანე მეთქი, თორემ რაც ე მაგ დახლში გაქვს და არა გაქვს, სულ მივამტვრევ-მოვამტვრევ.

მიკიტანი.

მოითმინე! მოითმინე (მოაკეტს კარებსა.)

გრიგოლი.

(დედას) არა გიჭამიარა? მრთელი დღე არა გიჭამიარა? მე კი ვიყავი მაძღარი მაშინ, როდესაც ჩემ მშობელი ჩემი, ჩემი დედა, რომელსაც გაუზდივარ ძუძუთი, მოითმენდა სიმშილსა, წყურვილსა!

## შვლი ყუმანკოლებისა.

ღმერთო ჩემო! მრავალ მოწყალეო ღმერთო! სად ვიყავ მაშინ მე?

სალომე.

ნუ სწუხარ შვლო! საყვარელო შვლო გრიგოლ! გნახე და გიგრძენ ახლა, თუ რა არის სიხარული. ისე ვიყავი ავათა, რომ სრულებით არ მეგონა, რომ შენ გნახავდი.

გრიგოლი.

ავათ იყავი? მეკი გშორავდი და არა ვიყავი შენთან! ახლა დედაჯან, აღარაოდეს აღარ მოგშორდები, მხედამ დედაჯან როგორ გავიზარდე და დავვაჟკაცდი; მე ახლა უნდა ვიმუშავო და შენკი შეგინახო კარგათ.

მიკიტანი.

(გამოდის დუქნითგან ჩარექით.) აი ღვინო! მერე რა ღვინო! მგონია კახეთშიაც არ იყოს ამისთანა ღვინო! ჰა! ჰა! ჰა... ჰა! სწორედ შაჟაცვება!

გრიგოლი.

მომეცი აქა! რა ღირს ეს საძაგელი?

მიკიტანი

საძაგელი?-ჩემი ღვინო საძაგელი არ არის!... ამაზედ უკეთო კიდევ სხვა კარგი მაქვს!... (გრიგოლს უნდა გამოართვას საჩქაროთ.) მოიცა! მოიცა, ჯერ ფული მამეცი! ეს ღვინო აქა ღირს, ექვს აბაზათ თუნგი, კიდევაც იაფია ამ სიძვირეში.

გრიგოლი.

(აძლევს სრულებითა ფულსა,) ჰა, დაიჭი (სტაქანზედ უსხავს დედას, რომელიცა სვამს და ჰურს

# ციხკარი.

ჯცანს.)

მიკიტანი.

(სთვლის ფულსა.) აქ აკლია გონია რამდენიმე გროში, მაგრამ თუნდა კარგი, თქუენთჳს მიჩუქებია რაც აკლიაა!—გაუფრთხილდით სტაქანსა არ გატე-ხოთ. (გავა,)

სალომე.

მადლობელი ვარ შვილო გრიგოლ!-ღვინო ხომ სიმრთელეს მიმატებს, მაგრამ უფრო უმეტეს სიმრ-თელეს და სიცოცხლეს მიმატებს, რომ ვსვამ შენის ხელით!

გრიგოლი.

ბევრს ნუ ლაპარაკობ დედაჯან! ჯერ მოისვენე!

სალომე.

მითხარი შვილო! ამ ხუთს წელიწადს როგორ გაატარე დრო? რომელს მხარეზედ იყავი და რა ნახე?

გრიგოლი.

ბევრი კარგი ვნახე დედაჯან და ბევრი ავი! ზოგჯერ ბევრი მქონდა ხოლმე და ზოგჯერ სრუ-ლებით არაფერი.

სალომე.

შვილო! ჩემო ორივ თვალის სინათლევ შვილო! წიგნიცარი მაინც როგორ არ მამწერე?

გრიგოლი.

ახ, დედაჯან! განა არ იცი რომ საწყალს მი-ლიციონერს იმდენი არ ექმნება რომ თავის თავიც დაარჩინოს და წიგნის გაგზავნაშიაც აძლიოს! კარგათ იცი რა ჯამაგირიცა მაქუს, მე ყოველთჳს

## შჳლი ყმაწვილებისა.

ამასა ვფიქრობდი, რომ დედა ჩემს რა უშავს მეთქი, მამდარიც იქნება და მშჳდობითაცა მეთქი, ერთს კვირას კიდევ მოვიცდი და წავალ სანახავათა მეთქი, კვირები გარბოდნენ და იმისთანა შემთხვევები მეძლეოდა რომ ძნელი იყო მოსვლა. — მაპატიე დედაჯან, თუმცა დიდი დამნაშავე ვარ!

სალომე.

მაპატიებია ყოველივე შვილო!.. ხომ დაეთხოვე შენს მეუფროსეს?

გრიგოლი.

დიახ დედაჯან. დავეთხოვე ორის თჳთა, მაგრამ გხედავ რომ მე შენთჳს საჭირო ვარ და აქ დავრჩები ყოველთჳს. მე შენ ვეღარ მოგშორდები.

სალომე.

არა გრიგოლიჯან! რაკი გნახე შენ, სწორედ მოვრჩები და მომემატება ახალი ძალიცა; მაშინ შეგიძლიან კიდევ წახვიდე შენს სამსახურში. მე ვერ დაგაბრკოლებ, რომ ბედნიერებას არ მიახწიო! მითხარი შვილო! უფრო რა იყო მიზეზი შენის დათხოვნისა?

გრიგოლი.

თუ ნებას მიბოძებ დედაჯან, მე ყოველისფერს მოგახსენებ: ამ ხუთის წლის წინათ, როდესაც რომ გაგშორდი შენ, ყოველივე გამატანე თანა რაც საჭირო იყო, მაგრამ უპირველესი რამე დაგვიწყებოდა. — მოწმობა ჩემის ნათლობისა. მე მაშინ კარგათ იცი დედაჯან ვიყავი თხუთმეტის წლისა, და ასე ყმაწვილს სად მეცოდინებოდა თუ მოწმობა

# ცისკარი.

ესე დამჭირდებოდა, მაგრამ ბოლოს ისე საჭირო შეიქმნა, რომ მეტი აღარ შეიძლება,, ისე რომ ჩუენს ურადნიკს ძალიან შევევედრე და ამისთჳს მირჩივა სამხედრო სამსახურში გადავსულიყავი, მეუბნებოდა, იუნკრათ მიგიღებენო და რამდენსამე დროს უკან აფიცერი შეიქმნებიო, მაგრამ რადგანაც დაბადების და ნათლობის მოწმობა არა მქონდა დავბრკოლდი და ამან დიდად შემაწუხა, ეს კიდევ არა ფერი; ამხანაგებმა რა შეიტყეს რომ მოწმობა არა მქონდა, იძახდნენ, უთუოთ ბუში არისო და უკანონო შვილს მეძახდნენ, რამდენჯერ ჩხუბი მომივიდა და რამდენჯერ გავიწკიპე ამის გულისათჳს, ბოლოს ურადნიკმა დამიმახა და მითხრა: გრიგოლ! დიდათ მიყვარხარ და მიყვარდი აღრევაცა ვხედავდი რა შენს სიმშვიდესა და ნიჭსა სწავლისასა, მაგრამ ყოველთჳს ასე ჩხუბში ყოფნა და შენი დასჯა ჩემთჳს დიდი შესაწუხებელი არისო, თუ გინდა, დაგითხოვ ორის თჳთა, წადი შენს მშობელთან, იმას უთუოთ ექნება მოწმობა, გამოართვი, მომიტანე და მე შენ გაგაბედნიერებო. როდესაც მე ეს გულმტკივნეული რჩევა მესმოდა, ისე მეგონა თჳთან შენ მელაპარაკებოდი დედაჯან და მარიგებდი, რა ეს მითხრა აიღო ორიოდ მაურიც მაჩუქა და გამამისტუმრა, ახლა ხომ შეიტყე დედაჯან, მიზეზი ჩემის აქ მოსვლისა.—

## სალომე.

(მოისმინა რა დიდის მწუხარებით და მომთმენობით.)

**მაშ აგრეა საქმე, შვილო გრიგოლ? რომ მოსულხარ**

## შვილი უმანკოებისა.

მოწმობისათვის?

გრიგოლი.

დიახ, დედაჯან!

სალომე.

ახ, ღმერთო ჩემო!

გრიგოლი.

რა ამბავია დედაჯან!

(სალომე ცრემლებს იწმენდს.)

გრიგოლი.

მითხარი დედაჯან! რაზედა სტირი? რა დაგემართა?

სალომე.

როგორ არ უნდა ვიტირო შვილო, რომ არცა მოწმობა მაქვს შენის დაბადებისა და არცა შემიძლიან ავიღო საიდგანაც წესია.

გრიგოლი.

როგორ თუ არა გაქვს დედაჯან?

სალომე.

ამასთვის არა მაქვს შვილო, როგორ არ გითხრა და როგორ დაგიმალო, რომ შენა ხარ შვილი უმანკოებისა. —

გრიგოლი.

როგორ თუ უმანკოებისა!!

სალომე.

ასე რომ, შვილო რაც უთქვამთ შენს ამხანაგებს, სწორედ იმ გვარი შვილი ხარ!

გრიგოლი.

(შეშფოთებული.) როგორც უნდა

ეგ სულ ერთია, მაგრამ ხომ არ შეიძლება მაინც, რომ მამა არა მყოლოდეს?... ვინ არის მამა ჩემი? მითხარი დედავ?

სალომე.

(ოხვრით.) ახ!-შენი ეგე შეშფოთება მტანჯავს მე!

გრიგოლი.

(აღრინდილისავე სახით.) რათა გტანჯავს? დედა-ჯან! როგორც უნდა ვიყო, გინდა უმანკოების შვილი, გინდა სხვისა, მაინც შენი შვილი ვარ სიკვ-დილამდე. მაგრამ მაინც კიდევ მითხარ, თუ ვინ იყო და თუ ცოცხალია ვინ არის მამა ჩემი?

სალომე.

როდესაც რომ გამშორდი და მიდიოდი კახეთს მილიციაში, შენ იყავი პატარა და ამისთვის ვერ მოგენდე და ვერ გითხარი ჩემი საიდუმლოება; ახლა კი ვაჟკაცი ხარ და შეიძლება რომ მოგენდო, გაგი-ტყდე შვილო და გითხრა (მხარეზედ) ახ, რამდენჯერ გამიგია, კაცი რომ თავის მწუხარებას გამოსთქვამს ვისთანმე, იმის გულს შემსუბუქება მიეცემათ. მადლობა ღმერთს, ბოლოს მომივიდა ის დრო, რომელშიაც შემიძლიან გამოვსთქვა ჩემის გულის დარდი და მწუხარება შევიმსუბუქო; გმადლობ მრავალ მოწყალეო ღმერთო! რომ მომივლინე ამ მწუხარებით დასნეულებულს დროს, იმისთანა სარ-წმუნო მეგობარი, რომელსაც შემიძლიან ვუთხრა ჩემი მწუხარება, და იმით უფრო გმადლობ რომ ეს სარწმუნო მეგობარი არის ჩემი შვილი.

## შვილი უმანკოებისა.

გრიგოლი.

მითხარი დედაჯან! შემსუბუქე გულის მწუხარება!

სალომე.

აჰ! შვილო გრიგოლ! დიდათ მინდა რომ გამოვთქო სრულებით ჩემი ყოველივე დარდი, მაგრამ ენა მიდუნდება შვილო! სირცხვილისაგან თავი ჩამკიდე შვილო განა? ვერ მიყურებ თვალებში?

გრიგოლი.

განა არ ვიცი, როგორი გულიცა აქვს დედაჩემსა? ჰსთქვი დედავ ყოველივე, ნუ გერიდება ჩემი!

სალომე.

შავი და უბედური იყოს ის დღე, რა დღესაც მე დავიბადე, აგერ შვილო, იმ სოფელში (თითით აჩვენებს) რომელსაცა ვხედავთ, ჰირ და ჰარ. მშობელნი ჩემნი იყვნენ კეთილნი და პატიოსანნი გლეხკაცნი, კარგის ოჯახის შვილები როდესაც რომ შევიქმენ ცამეტის წლისა, მაშინ სადაცა მნახა, იმ სოფლის მებატონის ცოლმა, რომელიცა იყო ქვრივი, დიდად მოვეწონე და სთხოვა ჩემთა მშობელთა, მე მომეცით გავზრდი კარგათაო. — რა მიმიყვანა სახლში, მასწავლა წიგნი და ბევრი რამ სამღთო საერო, როდესაც რომ შევიქმენი თექვსმეტის წლისა, ამ დროს მოუკვდა სამსახურითაგან შვილი, ახალგაზრდა აფიცარი. თავადი დიასამიძე რომელიცა მე ძვერ არ მენახა და რომელიცა დასთხოვნოდა თავის მეუფროსეს სამისთვის ვადითა. — ის უმანკო კაცი იყო მეტად მშვენიერი და ყოველთვის სიყვარულზედ მელაპარაკებოდა ხოლმე და ცოლქმრობაზედ. ბოლოს გამიტყდა და

# ცისკარი.

მითხრა მიყვარხარო..· ნუ მიყურებ შვილო თვალებში, საყვარელო შვილო ჩემო! თორემ ვეღარ შევიძლებ დასრულებასა. (გრიგოლ იყურება წინ და ჴელი მშობლისა მიკრული აქვს გულზედ.)

სალომე.

(ცოტას ხანს შემდგომს.) მეც შვილო, ჩემის უგონობით და გულწრფელობით მოვაკლდი უმანკო-ებასა! იმან აღმითქვა, ჯვარს დავიწერ დღის ჩემის სიკვდილის შემდგომსაო; აღმითქვამდა ხოლმე და მეტყოდა: სიკვდილამდინ შენი და ყოველთვის შენი ვიქ-ნები, გეფიცები ღმერთსაო (ოხრავს.) დავივიწყე რა კეთილნი და პატიოსანნი მშობელნი ჩემნი, და-რიგება მოძღვრისა და ჩემის აღმზრდელისა, შევი-ქმენი ორსულად. ფიქრი მომავალს დროზედ მეტად მტანჯავდა მე, ჩემის ორსულობის მიზეზს კი ეში-ნოდა დედამ არ შემიტყოსო და მთხოვდა ხოლმე არავის უთხრაო, აღმითქვამდა ხოლმე თავის დროზედ დიდად დაგასაჩუქრებო, მეცა აღუთქვი უთქმელობა და ყოველსავე შეიწროებასა მოვითმენდი რადგანაც დიდად მიყვარდა. როცა მოუვიდა დათხოვნის ვა-დის შესრულება, წავიდა თავისვე სამსახურში და გამომეთხოვა გულგრილად — როცა მომიახლოვდა დრო შობისა, დამითხოვა აღმზრდელმა ჩემმა სასახ-ლითგან ამ გვარ შემთხვევისათვის, მეცა მწარედ ყოვლის გზით უწყევლო მივალექი მშობელთა ჩემთა, რომელთაცა არცკი მიმიკარეს, წადი შენ გვართა მარცხვინელოვო. დედას კიდევ მცირედი გული დაეწვა, აიღო, გულითგან მოიხსნა ჯვარი და გადმომი-

# შვილი ჟუმანკოლებისა.

გდო, წაიღე მხოლოდ ეს და თვალით აღარ დამენახოვო. ეს ჯვარი ახლაც გულზედან მკიდია. (აჩვენებს) და დავრჩი ესრედ საწყლად და არ ვიცოდი სად შემეფარებინა თავი, იმ ღამეს დავდიოდი მინდორზედ და ამ სიარულში მივადექი ერთს წისქვილსა და რა ვნახე წყალი, ვიფიქრე, ჩავარდები თავს დავირჩობ და ამით მოვუღებ ბოლოს ჩემს ცხოვრებასა მეთქი. და ამ აზრში ვიყავი, ამ დროს დამიხვდა მოხუცებული მღვდელი, რომელმაცა შეიტყო რა ყოველივე ჩემი მწუხარება და გარემოება, მიმიყვანა თავის სახლში და მითხრა: წარსულს დროს აღარა ეშველებარაო. მომცა ბევრი დარიგება კეთილი, ერთი ოქრო მაჩუქა, მიმიწერა წიგნი ქალაქში ერთს ქვრივს კეთილს მოქმედს დედაკაცსა, ვისთანაცა შემეძლო მეცხოვრა და შევვენახე, აღმითქვა შობის შემდგომს ვეცდები შენ მშობელთა შეგარიგოვო, გავსწიე დანიშნულს ადგილისაკენ და აღუთქვამდი ღმერთსა კეთილს გზაზედ სიარულსა. აღთქმა ჩემი დავიცევი წმინდად! შემომხედე შვილო გრიგოლ? (გრიგოლ მოეხვევა და სალომე კიდევ დაუწყებს თავის გარდასავალსა) შენმა დაბადებამა მომამცა ბევრი მწუხარება და ბევრი სიხარულიცა. მე მივწერე ორჯელ წიგნი მამა შენს იმერეთში, სადაცა გარდაიყვანეს მილიციის მეუფროსედ მაგრამ ღმერთმა იცის მიიღო თუ არა წიგნი, პასუხი არცა ერთი არ მომიღია. —

გრიგოლი.

(გაჯავრებით,) არ მიგიღია?!

## სალომე.

ნუ ჯავრობ შვილო გრიგოლ! აქამდისინ იმ მხა-რეზედ ომი იყო ოსმალებზედ, ანა სად მოიცდიდა წერასა, ან იქნება წიგნი არ მიუვიდა და გზაზედ დაიკარგა სადმე, თვარემ ის არ არის ბოროტი კაცი, არა მგონია რომ დავევიწყებინე. მე მეტი წიგნი აღარ მივწერე, ვფიქრობდი: თუ რომე უყვარ-ვარ და თავის პატიოსან სიტყვას აღასრულებს, აქაცა კარგათ მოვა და მნახავს მეთქი!... მაგრამ არც მოვიდა და არცარა მნახა და რამდენისამე დროს-უკან გავიგე რომ... (ამოიოხრებს.) იქ ცოლი შეურ-თავს!... რას ვიქმოდი! ქვრივს დედაკაცთან ვცხოვრე-ბდი ერთს ქოხში, და ვარჩენდი ჩემს თავსა ხელსა-ქმითა, ვასწავლიდი რამდენსამე უმაწვილ ქალებსა იმას, რაც მესწავლა მე თვითან, ერთი მხოლოდ ჩემი ნადვლი ის იყო რომ შენ გამეზარდე კარგათ საყვარელო შვილო გრიგოლ! ღმერთმანცა მომცა შენი თავი, გასწავლე წიგნი და რა გახდი თხუთმეტის წლისა, და პირველი შენი სურვილი იყო ჯარში შესვლა, არ დაგიმალე მეც, წაგიყვანე და მიგეცი მილიციაში, რომელიცა შეიკრიბა წასასვლელად გახეთის დასაცველად მტერთაგან!... რა გაგისტუმრე შვილო! შევედ ფიქრში: რად მიყო დაისამიმემ ამი-სთანა უწესური საქმე მეთქი, მეტის სინანულისაგან დავსნეულდი, დამაწყებინა ციებამ, ხელსაქმითა სადღა შემეძლო ცხოვრება, და თავი დავანებე იმ ქოხსა, რაშიაცა ვიდექი, ამისათვის რომ საითგან მიმეცა ქირა და რით მერჩინა თავი, ავსდექი და

## შვილი ყმაწვილებისა.

გამოვმგზავრდი ამ სოფელში, გიფიქრე: წავალ ჩემს მშობლებს იქ ჩავყვრი, სადაც დავიბადე და გავუბედურდი მეთქი, გზაზედ მომივიდა ციება და ამ დუქანში თავი შევაფარე და ხომ ხედავ რა მდგომარეობაში ვარ შვილო!

გრიგოლი.

ახ მშობელო! მე რომ სცოდნებოდა შენს შვილს, ყოველი ლუკმა უნდა იცოდე თუ რა მწარე იქნებოდა იმისათჳს! ახ! მადლობა ღმერთსა, რომ ცოცხალი დამხვდი! — შენთან დავრჩები დედაჯან, და აღარაოდეს არ მოგშორდები ახ! რა გწუხვარ. რომ ხელობა არა ვისწავლე რა, რითაც შემძლებოდა შენი შენახვა! მაგრამ არა უშავსრა, ღონიერი მკლავები მქონან, შემიძლიან ხვნა, თესვა, ღამითაც ვიმუშავებ დედაჯან, გავაკეთებ რასმეს! ღმერთი გვიშველის, ის არ დააგდებს უმოწყალეოთ იმას, ვისაც უყვარს თავისი მშობელი.

სალომე.

(გულმტკივნეულობით ეხვევა შვილსა.) ახლა კი შვილო აღარავინა მჯობს ბედნიერებით და სიმდიდრითა!... მრავალ მოწყალეო ღმერთო! ნეტა კიდევ ეყოლება ვისმეს ამისთანა შვილი?

გრიგოლი.

ერთი კიდევ მითხარი დედაჯან! რა გვარის მამა ჩემი?

სალომე.

თავადი დიასამიძე.—

## ცისკარი.

გრიგოლი.

რომელნაც აქა დგას? ამ სოფელში?

სალომე.

ადრე იდგა აქა იმისი დედა, ის დიდი ხანია რაც რომ მოკვდა!.. შჳლმა წედანაც გითხარ, შეირთო ცოლი იმერეთში და იქვე თავის ცოლის მზითჳის მამულში დასახლებულა. — იმათინი ახლა მათო-რი შექმნილაო.

გრიგოლი.

მე მოვნახავ იმას! გაბგდჳით მივალ! დაეხსენი მნახოს თვალით! შენკი მშობელო ზურგით მიგიტან იქამდისინ. — როგორი შორს წასულა ის წყეული! სინიდის ხომ შორს ვერ წავა, მაგრამ არა! რა საჭირო არის რომ შევიტყო ვინ არის მამა ჩემი მაშინ, როდესაც რომ არის ბოროტი და ავი კაცი! ჩემთჳს ესეც საკმაოა, რომ მყავს კარგი და კეთილი დედა! დედა, რომელსაცა უსწავლებია ჩემთჳს მშობლიური სიყვარული. მე არ მინდა იმისთანა მამა, რომელსაც გძულვარ თვალის დასანახავათა. არა! არ მოვნახავ მამა ჩემს! დაეხსენ საცა უნდა იცხოვროს, სინიდის — დაბრმავებულის თვალებითა. როდესაც რომ მოუახლოვდება დრო სიკჳდილისა, როდესაც რომ დაუსრულდება ჟამი სიცოცხლისა და წარდგება ღმრთის წინ, დაეხსენ იქ მისცეს შემოქმედს პასუხი! განა დედაჯან რომ საჭირო არ არის ის ჩჳენთჳს? — ახ! ეგ რა გემართება! თვალებო გეხუჭებიან! უკეთილებო! რა დაგემართა!

## შვლი ყუმანკოვებისა.

სალომე.

(დასუსტებული და გულშეწუხებული) არაფერი... არაფერი... სიხარული...

გრიგოლი.

ღმერთო ჩემო! ახლა მამაგონდა, რომ ჩვენ შარა გზაზედა ვართ, (ღუქნის კარებსა სცემს.) ეი! მიკიტანო!

მიკიტანი.

(ღუქნიდგან მართლა თავს გამოყოფს.) ჰა! რაო? კიდევ გინდათ რამე?

გრიგოლი.

მოამზადე ახლავე კარგი დიდი ქვეშაგები დე-დოჩემისათვის!

მიკიტანი.

(მეზიზღებით). ქვეშაგები?.. რასაკვირველია!... დიახ!. ამ საათში! როგორც არა!... მაგას ბალახზედაც კარგა ეკადრება დაწვეს.

გრიგოლი.

(გაჯავრებული დასწვდება ქვასა, მიკიტანი კარე-ბს მოაკეტს.) აი შენ საზიზღარო, ბოროტო კაცო! (შეხედავს თავის დედას და ისევ დააგდებს ქვას) რა ვქნა ახლა!... ვის მივმართო?.. .ახ! მშობელო!... (მივა და არახუნებს ერთის სოფლელის სახლსა, რომე-ლიცა არის ღუქნის მოშორებით.) ეი!... სახლის პატრონო!... გამოიხედეთ თუ ვინმე ხართ მანდ!... თუ ღმერთი გრწამთ გამამხედეთ!

# ტისკარი.

## გამოსვლა 8

გლეხკაცი გამოდის სახლითგან დ̃ ისინივე.

გლეხ-კაცი.

რა გინდა? ვინა ხარ?

გრიგოლი.

საყვარელო ძმაო! უყურე საწყალს ავათმყოფს დედაკაცსა, ხომ ხედავ ძმაო მოიკვდა ცოცხალა!.. ეს საწყალობელი დედა ჩემია; შეგვიშვით სახლში, ნახევარ საათსაცარი, ცოტას ხანს მოვასვენო. ღვთის გულისათვის შეგვიშვით! — ღმერთი დაგსაჩუქრებთ ამ კეთილის საქმისათვის...

გლეხ-კაცი.

კარგი! გეყოფა მამა გიცხონდა მაგდენი ჩემი დარიგება, მე თვითანაც კარგათ ვიცი საქმე როგორც არის (არახუნებს თავის კარებს.) ეი! დედაკაცო! დაეგე ჩქარა ქვეშაგები, ლბილი ბალიშები დააწყე, აბა დ̃ ჯ ჩქარა!.. საცოდავი ცახცახებს ციებისაგან! აბა შემოიყვანე, წუნარა! ლბილი ქვეშაგები მაქვს, მაგრამ სხვას კი ნურაფერს მოითხოვ ძმაო. (შეჰყავთ სალომე წუნარა სახლში.)

(ფარდა დაეშვება.)

დასასრული პირველის მოქმედების.

შვილი ყმაწვილებისა.

## მოქმედება 2

## გამოსვლა 1

ჰსცენა წარმოადგენს სოფლიურ სახლსა.

სალომე, გლეხ-კაცი, იმისა ცოლი და გრიგოლ.

(სალომე ტახტზედ წევს ქვეშაგებში, ცალი კელი თავ ქვეშ უძევს და მეორე კელი გრიგოლს უჭირავს.)

გრიგოლი.

(გლეხ-კაცებს და იმათ ჰპატარა შვილებს, რომელნიცა ეხვევიან გარემშემო სალომეს.) საყვარელნო ძმანო! დავიჯერო რომ არა გქონდესთა რომ გაჭამოთ ავათმყოფსა, რომ ცოტა ყუათი მიეცეს? თქვენი ჭირიმე, შემეწიენით, მომეხმარენით, მომიტანეთ რამე გაჭამო.

გლეხ-კაცის ცოლი.

(პატარა ყმაწვილს.) წადი ჩქარა, აიღე სადღვინე, მიიტანე ჩვენს ახლოს რომ დუქანი არის და ერთი ჩარექი ღვინო მოიტანე,

გრიგოლი.

ღვინო არ არის საჭირო, ღვინო დალია და ამისთვის უფრო ასრე ცუდად შეიქმნა, რადგანც საჭმელი არა ჰქონდა.

გლეხ-კაცი.

დედაკაცო! ღვინოზედ გაგზავნასა ის არა სჯობს

## ცისკარი.

გაგზავნონ ბოსელში, გამოატანინონ კვერცხები და ერბო-კვერცხი მოუწვა.

გლეხ-კაცის ცოლი.

(სალომე.) არა სჭამ დედავ ნაღებსა?

გლეხ-კაცი.

თუ გვაქვს რამე არას დავიშურებთ.

გრიგოლი.

(გრძნობით.) ღმერთმან დაგასაჩუქროთ საყვარელნო! მაგ თქვენ კეთილის მოქმედებისათვის! (სალომეს.) დედაჯან! რა კეთილს ხალხში ხარ ახლა! არ ინებებ დედაჯან, რასაც გეუბნებიან.

(სალომე კელს იქნევს, არ მინდაო.)

გრიგოლი.

არ უნდა! ახ! ღმერთო ჩემო, ნეტა რა ვქნა! საყვარელნო ჩემნო, კეთილნო კაცნო! ხომ არავინ იქნება აქიმი ამ გარეშემოში.

გლეხ-კაცი.

ჩვენთვის მადლობა ღმერთსა, თავის დღეში აქ აქიმი საჭირო არ ყოფილა, თვალითაც არ გვინახავს აქიმი, ჩვენი ექიმი ღმერთია.

გრიგოლი.

მაშ რა ვქნა! — რა უყო, რომ ასრე უწყალოთ ხელში მიკვდება მშობელი! მრავალთ მოწყალეო ღმერთო! მომივლინე მოწყალება შენი! — კეთილნო კაცნო! ილოცეთ ღუთის გულისათვის, ამ საბრალობლის დედის ჩემისათვის. — მე არ შემიძლიან ლოცვა მწუხარებით.

## შვლოი ყუმანკოვებისა.

### სალომე.

(კვნესით.) დამშვიდდი გრიგოლ! — ცოტა კარგათ მეოჯობასა ვგრძნობ! მხოლოდ უფუათო ვარ უჭმე-ლობითა.

### გრიგოლი.

ამ საათში დედაჯან? ამ საათში სადაც იქნება და არ იქნება გიშოვნი სადმე. — მაგრამ ფული რომ არა მაქვს? ახ ღმერთო! ნეტა რა ვქნა? ვის მივ-მართო?..,

### გლეხ-კაცის ცოლი.

(ქმარს.) კაცო! რადა გუშინ წაუღე ხარჯი ბა-ტონსა, ახლა რომ გვქონოდა რა კეთილს საქმეს ვიქმოდით!

### გლეხ-კაცი.

რასაკვირველია რომ არ მიმეტანა გუშინ, ამ საწყლებს შევეწევოდი, მაგრამ ღმერთსა ვფიცავ რომ ახლა ერთი გროშიც არა მაქვს.

### გრიგოლი.

მეტი გზა არ არის: რა ვქნა? უნდა მოწყალება ვითხოვო, თუ არავინ არას მომცემს, მოვიპარავ სადმე. — ძმანო! აქ იყავით დედაჩემთან, ღვთის გულისათჳს მარტო არ გაუშვათ; მეც რაც შემიძ-ლიან ჩქარა დავბრუნდები. —

(გარბის სცენითგან.)

# ღისკარი.

## გამოსვლა 2

(ადრინდელნივე, გარდა გრიგოლისა.)

გლეხ-კაცი.

ჩუჱნ სოფლის მღვდელთან რომ მივიდეს, უთუოდ მოსცემს რასმეს. ის მადლიანი კაცია. მეტადრე იმისთ ღატაკნი, სულ მადლის საქმეზედ დადის, უთუოდ მსწავლული რომ არის იმისათჳს.

სალომე.

განა ის მოხუცებული მღვდელი კიდევ ცოცხალია.

გლეხ-კაცის ცოლი.

არა, იმ კეთილმა მოხუცებულმა მღვდელმა, კარგა ხანი იცხოვრა და ეგერ ეს ერთი წელიწადია რაც მოკვდა.

გლეხ-კაცი.

ის მოხუცებული, ისე უცებ გაქრა, თავის კეთილის მოქმედებით, როგორც სანთელი.

გლეხ-კაცის ცოლი.

(იწმენდს ცრემლებს.) ბევრი ვიტირეთ იმის გარდაცვალებაზედ.

გლეხ-კაცი.

(აგრეთვე ტირის.) ბევრი ვიტირედ, ის სწორედ ჩუჱნი მამა იყო.

სალომე.

(გულმტკივნეულობით.) მამა!...

გლეხ-კაცის ცოლი.

სადღა ვნახავთ ჩუჱნ იმას.

## შვილი ყუმარბაზისა.

### გლეხ-კაცი.

კარგი, საკმაო არის ტირილი, თუმცა მართალია იმისთანა კაცი არ არის ახლანდელი მღვდელი, მაგრამ ასეთი დიაკვანი ჰყავს იმასა რომ, სწორედ ახლა მამობას ის გვიშრება ჩვენ.

### გლეხ-კაცის ცოლი.

მართალია, ცოტა ახალგაზრდა კია მაგრამ...

(სალომეს)

ისეთი მსწავლული კაცი არის, რომ ყოველ დღე თითქმის ჩვენის ბატონის სახლშია და იმის შვილს ასწავლის, სამღთო საეროს წიგნებს აკითხებს.

### გლეხ-კაცი.

თითონ კეთილი კაცი არის და ჩვენ ბატონის ქალსაც კეთილს საქმეს ასწავლის.

### გლეხ-კაცის ცოლი.

კეთილს როგორ არ ასწავლის რომა, როდესაც საყდარში მოვა ხოლმე კირიაობით, ჯერ მძიმეთ პირჯვარს დაიწერს და მერე ყველას თავს დაგვიკრავს ხოლმე! — რა თავდაბალია!...

### სალომე.

(განკვირვებით.) ვინ არის განა თქვენი ბატონი?

### გლეხ-კაცის ცოლი.

განა არ იცნობ ჩვენს ბატონს? აგერ მესამე [illegible] არის, რაც მოვიდა თავის სოფელში და [illegible] სამუდამოდ.

### სალომე.

გვარად დიასამიძე ხომ არ არის?

# ცისკარი.

გლეხ-კაცის ცოლი.

სწორეთ.

სალომე.

ცოლიც თან მოუყვანია?

გლეხ-კაცის ცოლი.

ცოლი მოჰკვდომია!.. იმერეთში რომ იყო და ცოცხალი ჰყვანდა მანამდისინ ცოლი, თავის სოფელში არ გაუშვლია. ძალიან ვწუხდით იმისა უმერა ამაზედ. (მდაბალ ხმაზედ.) ამბობენ, ცოლი თურმე ძალიან ანჩხლი რამ ჰყოლია, იმისთანა მშვიდს კაცსა. რამწავს მოჰკვდომია თუ არა და, აქეთ გამოუწევია. ამ სოფელში არის დაბადებული და აქ გაზდილი. (გლეხ-კაცი) მახსოვს პატარობისას რომ ვბურთაობდით და ერთად ვთამაშობდით სალომე! შენ არ გახსოვს დედაკაცო? (ცოლს.)

გლეხ-კაცის ცოლი.

როგორ არ მახსოვს.

გლეხ-კაცი.

ცოტა მაშინ კი ქალების არშიყობა იცოდა რომელსაც აფიცარი შეიქნა და მოვიდა სამსახურითგან დროებით დედასთან. — მაგრამ ვინ არ ყოფილა ყმაწვილკაცი.

გლეხ-კაცის ცოლი.

მე მგონია იცი შენც კაცო, თუ რა უყო საწყალს ჩვენის სოფლის პირველი ოჯახის ქალს სალომეს! — ეს ძალიან დიდი ცოდვა ქნა.

გლეხ-კაცი.

მე რა ჩვენი საქმე არის!... ჩვენ რა გვრჯის!..

## შვილი უმანკოებისა.

ვინ იცის ის ყმაწვილი, რომელიცა შობა სალომემ, იმისგან იყო თუ არა?

გლეხ-კაცის ცოლი.

სხუა აბა ვისგან იქნებოდა!... ცხადად ვიცით ყველამ რომ იმისაგან იყო!... შენ რაზე გიჯირავს იმისი მხარე, ეგ კარგი არ არის.— რა ვიცით, იქნება ის საწყალი სალომე მწუხარებითაც მოკვდა, ან კიდევ სიმშილით!... და იმ საწყლის მამასაცა თუ დედასა, იქნება კარგა ხანს ეცხოვრათ, რომ არ შემთხვეოდათ ამისთანა უპატიურობა.

(სალომეს გული უწუხდება),

გლეხ-კაცი.

(რა შენიშნავს.) დედაკაცო! დედაკაცო! დავიწყები გაუწივე გულს უწუხდება!.. წყალი!... წყალი!...

გლეხ-კაცის ცოლი.

ახ! ღმერთო!... რა უყო ამ საწყალს დედაკაცსა?..

გლეხ-კაცი.

ღვდლისათჳს მაინც გავგზავნოთ უზიარებელი არ მოკვდეს, ცოდვა დაგვედება!.. ღმერთო! ღვდლის მოსვლამდინ მაინც იცოცხლოს.

(სცენა უცებ გამოიცვლება, გლეხ-კაცის სახლი შეიცვლება, დიასამიძის ოთახად, რომელშიაცა აწყვია სკამები, მდივანი და წინ სტოლი უდგას; დიასამიძეს შემოაქვს სანთელი და სტოლზედა სდგამს.)

## ცისკარი.

## გამოსვლა 3

### დიასამიძე და ბიჭი.

დიასამიძე.

(ქართული კაბა აცვია და მხარზედ მაიორის ეპოლეტები უწყვია. ჩიბუხით შემოდის და ბიჭს ეუბნება.) ბიჭო! ჩუენი ფორანტ სტუმარს კიდევ სძინავს თუ გაიღვიძა?

ბიჭი.

არა თუ გაიღვიძა შენი ჭირიმე, თავიც დაავარცხნა და ერთი მუჭა გონია ერბო გაახლდათ შენი ჭირიმე და ის თავზე წაიცხო.

დიასამიძე.

(თავისთვის.) უთუოდ პომადა იქნებოდა. (მაღლა.) რასაკვირველია რომ ახლა ჩუენი ოთახი გაივსება სუნითა. — დამიძახე ბიჭო ჩემს ქალსა! (ბიჭი გავა, დიასამიძე ჩიბუხს მოუკიდებს და სწევს.) მე როგორც ვატყობ, ეს ჩემი სტუმარი ტუტუცსა გავს. რასაც კი ლაპარაკობს, იმ ლაპარაკს არცარა თავი აქუს და არცარა ბოლო, ერთს აქეთგან გარდასცემს, მეორეს იქითგან. — მე მიყვარს ჩემი პელაგია, ძალას ვერ დავატან რომ ის შეირთოს, იმის სურვილზედ მიმიგდია, ვისიც სურვილი აქუს და სიყვარული დაეხსენ ის შეირთოს. — მაგრამ კაი თუ უცოდველ-ლობისაგამო თანახმა შეიქნეს, მერე რა ვქნა? მე ვიქმნები ხოლო მიზეზი, ჩემის ქალის უბედურობისა. — მალიან ვწუხვარ, მეტად ვწუხვარ, რომ დამრჩა ქალი და

## შჳლი უმანკოებისა.

არა ვაჲ. გავათხოვებ იმასა თუ არა და, გვარი დიასამიძისა გაწყდება კიდეც, და გაქრება ესრეთ, როგორც (აქრობს სამთელსა.) ეს სამთელი. მშვენიერი სოფელი ჩემი, მამულები და ყმები დარჩებიან სხუა გვარის კაცსა.—ეს მალიან სამწუხარო არის ჩემთვის. (ოხრავს.)

## გამოსვლა 4

### პელაგია და დიასამიძე.

პელაგია.

რას მიბრძანებდი მამა?

დიასამიძე.

არაფერსა შვილო, ხომ კარგათ გეძინა წუხელის?

პელაგია.

მე ყოველთვის კარგათა მძინავს?

დიასამიძე.

მალიან კარგი. მაშ წუხელი შენ არავის არ შეუწუხებიხარ?

პელაგია.

განა რამ უნდა შემაწუხოს მამავ?

დიასამიძე.

ეჰ უფრო კარგი! რასაკვირველია შვილო, რომ ვერავინ გაბედავს შენს შეწუხებას, რადგანაც გყევარ იმისთანა მამა, რომელსაც მალიან უყვარხარ.-მაგრამ ახლა საქმე დამოკიდებულია შენს გათხოვებაზედ!

ცისკარი.

მითხარი შვილო! მოგწონს მასეთი შერაშიძე?—

პელაგია.

(თავ ჩაკიდებით.) არ ვიცი თუ რა გიპასუხო მამა!

დიასამიძე.

როდესაც გაგიხსენე იმის სახელი, გულში ხომ არაფერი იგრძენ?

პელაგია.

სრულებით არაფერი მამა,

დიასამიძე.

მაშ წუხელის სიზმარში, არ ნახე ისა?

პელაგია.

არა.

დიასამიძე.

მაშ დავიჯერო რომ წუხელის სიზმარში არა გინახავსრა?

პელაგია.

ის კი არა და, ჩვენი მღვდლის დიაკვანი კი ვნახე.

დიასამიძე.

ჰა! მივხვდი, მივხვდი! მღვდელი ჯვარსა გწერდა და ის ეხმარებოდა განა?

პელაგია.

ახ! არა! მე კი არა! ეს ვნახე რომ ვითომც ისევ იმერეთში ვიყავით და ჩვენი დიაკვანი დიონისე წიგნს მასწავლიდა, მერე წასვლა დააპირა საითღაც და ამაზედ ტირილს მოვყევი.

დიასამიძე.

მეც ვიცინოდი შენს ტირილზედ განა შვილო?

## შვილი ყუმანკოვზისა.

პელაგია.

როდესაც გამომეღვიძა, ვნახე რომ თვალები მართლა კი სველი მქონდა.

დიასამიძე.

პელაგია! გესმის რას გეუბნები? მე ძალიან მსურს რომ კიდევ ნახო მაგისთანა სიზმარი. ჩუენი დველი ჯუარისა გწყრდეს და დიონისე წიგნს იკითხავდეს. შენ რას ფიქრობ ამაზედ?

პელაგია.

თქუენი ნებაა მამავ.

დიასამიძე.

ეგ მიქარვა არის! მე ჩემს ნებას კი არ გკითხავ, მე მინდა შევიტყო შენი ნება. გიყვარს თუ არა მიხეილ შერამიძე? აკი ქალაქში რომ ვიყავით ნახე სტუმრობაში ორ სამს ალაგს.

პელაგია.

განა ვისაც ვნახავ სტუმრობაში მამავ, უნდა ყველა შევიყვარო?

დიასამიძე.

კარგათ მოიგონე. როგორ გიალერსებდა, გარს დაგტრიალებდა და დუხიც დაგისხა ხელცახოცზედ. რაები გიყო და რაები არა!

პელაგია.

მართალია რადაებსაც მელაპარაკებოდა, მაგრამ მე სრულებით არა გამიგიარა.

დიასამიძე.

არა გეყურებოდა რა? მაშ სჩანს რომ ჭკუა

გყვარებია?

პელაგია.

არა მგონია!

დიასამიძე.

ერთის სიტყვით უნდა გითხრა რომ იმის აქ მოსვლას და ჩემს კითხვას ერთმანეთში შეკავშირება აქვსთ.—მამა ჰყავს თავადის შვილი, მდიდარი და კარგი, თითონაც ნასწავლი და რუსეთში გაზრდილია, გესმის თუ არა?

პელაგია.

მესმის მამა!—თქვენი ნებაა...

დიასამიძე.

(გაჯავრებით.) შენ გაგიკვეთნია და ამოგიჩემებია ერთი სიტყვა: თქვენი ნებაა, რატომ არ იცი რომ თავადობას დიდი ხანი მამაპაპით ჩვენი მეგობრობა აქვს. მამასა აქვს დიდი სურვილი, რომ შვილმა დაიწეროს შენზედ ჯვარი.—რას იტყვი ამაზედ შენ პელაგია?

პელაგია.

მე მგონია მამა, რომ... მაგრამ რა ვსთქვა, თქვენი ნებაა.

დიასამიძე.

კიდევ თქვენი ნებაა!.. შენ მაგ ამოჩემებულ სიტყვით მოთმინებითგან გამომიყვან... აკი გითხარი რომ ქმრის შერთვა და ამორჩევა შენს ნებაზედ მომიგდია მეთქი, უსიყვარულოდ ცოლის შერთვას ციმბირში გაგზავნა სჯობია. თუ რომ გიყვართ

## შვილი ჟუმანკოეზისა.

ერთმანეთი, მალიან კარგი ჵ თუ არა ჵ, საქმე გა-
თავებულია, — (დამშვიდებით.) ხომ ხედავ პელაგია
რომ გელაპარაკები გულმტკივნეულობით, მამასადამე
შენც უნდა იყო ჩემთან პირუთვნელობით.

პელაგია.

მე თქვენთჳს ტყუილი არაოდეს არ მითქჳამს.

ლიასამიძე.

როდესაც გელაპარაკები შერამიძეზედ, ხომ ხა-
ლისით მიგდებ ყურსა?

პელაგია.

მე ყოველთჳს ხალისით გიგდებ ყურსა მამა!...

ლიასამიძე.

როდესაც კარგს გეუბნები მაშინ?

პელაგია.

რასაკვირველია რომ როდესაც კარგს.

ლიასამიძე.

როდესაც რომ იმაზედ გელაპარაკებიან კარგს,
გული ხომ არ გიცემს? (პელაგია თავს იქნევს.)
ხომ არ გინდა რომ ყოველთჳს ლაპარაკობდნენ?
(ის კიდევ თავს იქნევს.) გეჯავრება ხოლმე თუ
არა, როდესაც იმაზედ ცუდს რასმეს ლაპარაკობენ?

პელაგია.

რასაკვირველია! ჩემნი დიონისე...

ლიასამიძე.

(სიტყვას ართმევს.) თავი დაანებე ახლა დიონისეს!
იმაზედ არ გელაპარაკებიან. როდესაც რომ ნახავ

# ცისკარი.

ხოლმე შერაშიმეს, რასა გრძნობ მაშინ?

პელაგია.

მე ყოველთვის კარგს რაღასაც ვგრძნობ.

ლიასამიძე.

როდესაც რომ დაგიახლოვდება ხოლმე, გული ხომ არ აგემღვრევა ხოლმე?

პელაგია

არა! (უცებ მოჰგონებს.) ერთხელ მგონია...

ლიასამიძე.

ძლივს არ მოგაგონდა!

პელაგია.

ერთხელ სტუმრობაში სადღაც ვიყავი დ̃ ფეხი დამადგა.

ლიასამიძე.

ეგ მაამე პელაგია, ერთი ესეც მითხარი, თავს ხომ არ ჩაჰკიდებ ხოლმე იმასთან ლაპარაკის დროს.

პელაგია.

მე არავის წინ არა ვკიდებ თავსა.

ლიასამიძე.

არ გაუნაზდები ხოლმე, როდესაც ჩამოგიგდებს ლაპარაკს სიყვარულზედ?

პელაგია.

განა მამა ჩემო! სიყვარულზედ ლაპარაკიც შეუძლიან დ̃ იცის ან სიყვარული რა არის? მე იმისაგან ერთი ალერსიანი სიტყვაც არ გამიგია.

ლიასამიძე.

(გაიღიმებს.) არ დაგიმთქნარებია მაინც იმაზედ?

## შვილი ყმაწვილებისა.

რომ ულაპარაკნია ვისმეს? ან შენთან ულაპარაკნია?

პელაგია.

ბარემ კი მღომებას დამთქნარება, მაგრამ რა რიგია.

დიასამიძე.

მანდედგან სჩანს უმეცობა!... თვალით და ჭანა-თაცარი როგორ გეჩვენება?

პელაგია.

მე ეგ ფიქრითაც არ მოგსვლია.

დიასამიძე.

განა ვერ შეატყობ, ერთის შეხედვით რომელია კარგი და რომელია ავი?

პელაგია.

სწორედ უნდა გითხრა მამაო, რომ თავის დღე-ში იმისათჳს მე რიგიანად არ შემიხედავს.

დიასამიძე.

ეგ ძალიან ცუდია. გუშინ რომ მოვიდა ქალა-ქითგან, რა იგრძენ?

პელაგია.

ის ვიგრძენ რომა ძალიან მეწყინა. უფრო ამა-ზედ მეწყინა, რომ უდროოთ მოვიდა და დამიშალა გასეირობა, მე და დიონოსე რომ ვაპირებდით.

დიასამიძე.

ერთს კიდევა გკითხავ: დღეს კაცები რისთჳს დაგიხუჭუჭებია და კაბაც გუშინდელზედ კარგი ჩაგიცვამს?

პელაგია.

(დაფიქრდება.) კაბები იმის მოსვლამდის დახუჭუჭული მქონდა და კაბა ხისყუთავისათჳს წავიცვი.

დიასამიძე.

(თავისათჳს.) იმედი როგორღაც არ არი. (მაღლა.) ჩადგანც აგრე არის პელაგია! შერაშიმე აღარ იქნება შენი ქმარი.

პელაგია.

თქჳენი ნებაა...

დიასამიძე.

ახა ღმერთო ჩემო!... კიდევ თქჳენი ნებაა! (გაჯავრებით) გესმის პელაგია? თუ ყელს არაიღებ მაგ სამაგელის სიტყვისაგან, თ ქ ჳ ე ნ ი ნ ე ბ ა ა, მაშინ მართლად მოვიხმარებ ჩემს ნებასა. (დამშჳდებით) ყოველთჳს ჩემი სურვილი მდგომარეობს იმაში, რომ იყო შენ ბედნიერი, შენ ბედნიერად გახდომის ბრძანება მე არ შემიძლიან. — უნდა შევატყობინო შენა, თუ რა არის ქორწინება, ვთხოვ დიონოსეს, რომ იმან შეგასწავლოს.

პელაგია.

დიონოსეს?

დიასამიძე.

იმას უფრო უკეთ შეუძლიან შეგატყობინოს. მერმე იფიქრე და თუ რომ დაგიჯდა ჭკუაში შერა-შიქჳულ ჯვარის დაწერა, მეც თანახმა ვარ. ღმერთმა გაგაბედნიეროს!... (უვირის.) ბიჭო! (ბიჭი შემოდის.) მიირბინე დიონოსესთან და სთხოვე რომ

## შჳლი ყმაწვილებისა.

ერთ წამს აქა მოვიდეს, თუ რამე მოცლილი არის.
(ბიჭი გავა)

პელაგია.

(ბიჭს მისძახის.) ჩემს მაგიერათაც თავი დაუკარ.

დიასამიძე.

(საათზედ იყურება.) რა დიდხანსა გრძელდება ამ ფრანტების ჩაცმა! ეშმაკმა იცის და ქაჯმა რაებსა სჩადის ახლა. — (იყურება ფანჯარაში.) ჰა... ჰა... ჰა... რა დღე დგება, რა დღე!... პელაგია! ერთი გარდახედე მინდვრებსა და!

პელაგია.

დღეს ადრე დილით ჩავედი ბაღში... ასეთი მშვენიერი დილა იყო, რომ მეტი არ შეიძლება.

დიასამიძე.

რა სანადირო დღე არის... ახლა გაირეკე ძაღლები და დაუარე სანადიროს, მაგრამ ეს სტუმარი ცუდ დროს ამიტყდა! სუს, აგერ ისიც მოდის. —

## გამოსვლა 5

თ. მიხეილ შერამიძე და წინანდელნი ვმ.

შერამიძე.

(სტატსკის სერთუკით, შლაპით და ხლისტით.)
კნიაზს გახლავარ უმორჩილესი მონა!
(პელაგია თავს მძიმედ უკრავს.)

# ცისკარი.

დიასამიძე.

გამარჯვობა კნიაზო მიხეილ! გამარჯვობა! რათხანია გათენდა... სოფელში კაცი ადრე უნდა ადგეს.

შერაშიძე.

მომიტევეთ კნიაზო. მე ავდექი დღეს მეშვიდე საათზედ... მაგრამ ჩემმა მოსამსახურემ ისეთი რამ დააშავა, რომ მეტად შემაწუხა... სრულებით არა ღონისძიებით არ შეიძლება საქმე გავასწორო.

დიასამიძე.

მე ძალიან მეწყინა ჭეშმარიტად! თუ რა ამბავი, რა საქმე?

შერაშიძე.

თუ არ გავაგდე სახლიდგან ის სწეული, არ შეიძლება!.. ისე გამიხადა მე ახლა საქმე, რომ თუ წიგნი არ მივსწერე მამა ჩემსა და არ გავუგზავნე განგებ კაცი, საქმე ჩემი მნელათ არის.

პელაგია.

ბრძანეთ კნიაზო, კარგი რამ ხომ არა დაკარგეთრა?

დიასამიძე.

(მხარეზედ.) ჭკუა და გონება.

შერაშიძე.

რადგანც მიბრძანეთ კნიაჟნა, ბრძანებასა თქვენსა უნდა დავმორჩილდე! სამაგელი მოსამსახურე მყავს, მე ნუმომიკვდები, ბატონო! ბარეს რომ ალაგებდა, ყოველიფერი ჩაულაგებია და პომადა კი დევიწყებია, რომელიცა იდგა ჩემს სპალნის ფანჯარაში. ახლა არ ვიცი რა ვქნა? ნეტავი ერთხელ

## შჳლი ყმაწჳლებისა.

მეთქვას და ორჯელ, ასჯერ ვუთხარ არ დაგავიწყდეს მეთქი. რომ უმისოთ ჩემი დადგომა არ შეიძლება მეთქი. იმისთანას პომადას აქ სად ვიშოვნი. თუმცა მაქვს აქ სხვა, მაგრამ იმისთანა არ გახლავსთ, გავუბედავ თქვენს ბრწყინვალებას, რომ პარიჟში გახლავსთ გაკეთებული! როდესაც რომ ღუბერნატორთან გახლავარ ხოლმე სადილათ მიწვეული, იმ პომადას ვისვამ ხოლმე თავზედ, იმის სუნით ღუბერნატორის ცოლი გაოცებულია! რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: **Боже мой князь! когда вы бываете у насъ говоритъ, то всѣ комнаты порфированы, говоритъ.** ახლა იფიქრეთ, თუ რა შესაწუხებელია იმ პომადის უქონლობა ამ დროში!

პელაგია.

(ქვეშ ქვეშ იცინის.) მართლად რომ ეგ ძნელი საქმე გახლავსთ და ძნელი მოსათმენი.

დიასამიძე.

მიკვირს თუ რათ მოგსვლიათ ეგე საქმე?...

შერვაშიძე.

მერმე რა კნიაზო, ეს მოსამსახურე ოც და ათი წლიწადია რაც ჩვენს სახლში გახლავსთ, ყოველისფერი უკლებულათ აქვს, მადლობის მაგიერათ აი რა მიყო. — გაჯავრებულმა მეც დავიჭირე და გავაგდე.

დიასამიძე.

(უკან დაიწევს.) როგორ თუ გააგდე!.. ოც და ათის წლის ნამსახური კაცი?

შერვაშიძე.

ნუ გაიკვირვებთ კნიაზო... მე დიდი ხანია, იმის

დ ი ს კ ა რ ი.

სამაგიერო, სხუა კაცი მყავს.–მერე იმისთანა კაცი, რომ იმის სამსახურზედ გაოცდებით?

პელაგია.

აღრინდელი კაცი კი ასე უსაბუთოთ უბრალოს საქმისათჳს უნდა გავაგდოთ!...

შერაშიძე.

მაგას როგორ ბრძანებთ კნეინა, რომ უბრალო საქმისათჳსაო.

პელაგია.

ახლა რა ქმნას იმ საწყალმა?

შერაშიძე.

მაშ რა მექნა!... ხომ ხედამთ რომ ასე უპომადოთ დამაგდო.

პელაგია.

მე გთხოვ, რომ ისევ მიიღოთ.

შერაშიძე.

თქვენი თხოვნა ჩემთჳს ისე მტკიცეა და შეურყეველი, რომ დედამიწაზედ არ დაეშვება, მაგრამ მაგ თხოვნის აღსრულება კი ძნელია... თუ ბრძანებთ რით იცხოვროსო, არა უშავსრა, ბლომათა ჰყავს შვილები, გაეზრდებიან და შეინახავენ მამასა.

პელაგია.

(მხარეზედ.) ახ! რა უსინდისობაა, სწორეთ სულელია, თორემ ამას როგორა იქს გონიერი კაცი. (მაღლა.) რადგანაც შვილებიცა ჰყოლია, უფრო ცუდი, აბა რა ქნას წვრილ შვილის პატრონმა. გთხოვთ რომ მიიღოთ.

## შვილი ყმაწვილებისა.

შერვაშიძე.

რადგანც თქვენ მიბრძანეთ კნიაჟნა ამისთჳს მონაცა თქვენი თხოვნასა აღასრულებს... იმ მოსამსახურეს ისევ მივიდეჲ; მაგრამ დიდი მოვალე კი არის რომ მოვიდეს და თქვენს ფეხის მტვერს ეთაყვანოს.

ლიასამიძე.

(იწმენს ოფლსა მოუთმენლად და თავისთჳს ანბობს.) ეს რა სულელს ვისმეს შევეყარე... სწორეთ პირუტყვია, დათვია! აი, გაეზარდოს შვილი კაცსა, ამისთანა! (მაღლა.) არ ინებებთ კნიაზო მინამ სადილი მოახლოვებამდის წავიდეთ სანადიროთ?

შერვაშიძე.

(იკოცნის თითებზედ.) ბრავო! კნიაზო! ბრავო!.. ეგ ძალიან კარგი მოიგონეთ... თქვენ ნახავთ ახლა კნიაზო ჩემს სანადირო ტანისამოსსა და სწორეთ გაგიკვირდებათ... თქვენმა მზემა პარიჟში გახლავსთ შეკერილი... მერმე რა ბატონო, ახლაჲ მოდისა. საგანგებოთ შემიკერვინებია... მერე თოფი! პირველი ეს რომ ლულა ჩამოსხმული გახლავსთ ლონდონში, კონდახი სრულად შევერცხლილი აქვს და ოქროთ შეჭედილია! არა მგონია კნიაზო რომ ჩემზედ უკეთესი...

ლიასამიძე.

(თავის თჳს.) თქვენ ნუ მომიკვდებით რომ სრულებით შეშლილია. (მაღლა და ღიმილით.) თოფის ღირსება ძვირფას შემკულობაზედ კი არ არის დამოკიდებული, სიტყვა ის არის რომ მიზანს სწორეთ

# ც ი ს კ ა რ ი.

ვუწოდეს.

შერამიძე.

რაც თვალი ამიხილებია სულ ორჯელ გახლებო-ვართ სანადიროთ, ისეც მაშინ, როდესაც გახლდით რუსეთში, მაგრამ არაფერი კი არა მომიკლავს რა?

დიასამიძე.

მე მაქვს ერთი ძველი თოფი, არცა ვერცხლით არის შეჭედილი და არცარა ოქროთი, მაგრამ რასაც დაუმიზნებ კი შეუძლებელია რომ ავაცდინო.

(ბიჭი შემოდის.)

ბიჭი.

დიონოსე გიახლებია.

დიასამიძე.

მიბრძანდით კნიაზო, მიბრძანდით, მოუმზადენით სანადიროთ; მეც გამოვივლი ცოტას ხანს შემდგომ და წავიდეთ ერთად.

შერამიძე.

აი გიახლებით, მაგრამ კიდევ კი მოგახსენებთ რომ, ჩემი ტანისამოსი სანადირო ნახო ჟუჟოდ კმაყოფილი შეიქნებით. (გავა.)

დიასამიძე.

თქუენი ცოდვა მქონდეს, თუ ამ საცოდავს თავში ჭკუა ჰქონდეს. (ქალს.) ბელაგია! შენ გადი მეორეს ოთახში, მე მინდა მოველაპარაკო დიონი-სეს! ამასთან ცოტა ოდენი საიდუმლო საქმე მაქვს.

ბელაგია.

(თან გადის.) მამა ჩემო! მე ისე მგონია რომ მე

შვლი ყმანკოებისა.

სულელი შერაშიძეა თუ რაღაც, ძალიან ტუტუცი უნდა იყოს, მე ეგ არ მომწონს.

დიასამიძე.

როგორც გინდა შვლო, გინდ მოიწონე, გინდა დაიწუნე ეგ შენ საქმეა.

პელაგია.

(რა გადის, დახვდება დიონისე.) მშვიდობა შენი ნახვა დიონისე! (გავა.)

## გამოსვლა 4

დიასამიძე და დიონისე.

დიასამიძე.

მომიტევეთ დიონისე, რომ გაგსარჯეთ. თქვენთან მცირედი საქმე მაქვს, თუ რომე ნებას მომცემთ გეტყვით, მოკლედ ორის სიტყვით: ტფილისითგან მოსულა ერთი ყმაწვილი-კაცი, ფრანტი, რუსეთში აღზრდილი და მთხოვს ქალსა.

დიონისე.

(გაოცებით) იქნება მართლა?... ეს ახალი ანბავი!..

დიასამიძე.

ის ყმაწვილი-კაცი დუბერნატორის კანცელარიაში მსახურებს. ის... ის... ერთის სიტყვით, ის კაცი მე სრულებით არ მამწონს.

დიონისე.

(მიტანებით.) თქვენს ქალსა?...

# ცისკარი.

დიასამიძე.

(გაღიმებით.) ჩემს ქალს ასე მოსწონს რომ, რასაც ვკითხავ იმაზედ სულ ამას იძახის: თუ თქვენი ნებაა, თუ რომ თქვენ ნება იქნება, თუ რომ თქვენ მიბრძანებთ. მე მგონია დიონოსე იმდენი თუმცა არა ვიცი, მაგრამ მაინც ეს გაგება მქონდეს რო ამ გვარ საქმეში ბრძანება არ გავა. ეს კიდევ ვსთქვათ არაფერი! იმ ყმაწვილ კაცს, ცოტა თავშიაცარი რომ ჰქონდეს რამე და გული ჰქონდეს თავის ალაგს, არ იყო დასაწუნი... იმისი მამა ჩემი მეგობარია, მდიდარი და კარგი კაცი.

დიონოსე

ეგ სულ კარგი მაგრამ რომ იმასი თავში არა აქუს რაო ანა იმისთანას კაცისაგან კაცი რა კეთილსა და კარგს უნდა მოელოდეს.

დიასამიძე.

რასაკვირველია, მე მხოლოდ ისე გეუბნები, რადგანაც მინდა რომ შეიტყო ჩემი განძრახვა ამ საქმეზედ, რომ ვიცოდე ჩემს ქალს სხუა ხომ არ უყვარს, მაშინ აღარ მოვაცდენდი ტყვილად ბრისა ლაპარაკით. არც თუ ვიცი რა აქუს (გულზედ იდებს ჴელს) გულში, უეჭველად მივცემ... მაგრამ ძნელი ეს არის რომ არ ვიცი ვინ უნდა იმის გულს?

დიონოსე.

დავიჯერო რომ არა ვინ შეიყვაროს.

დიასამიძე.

აი ეგ კიდევ სხვა არის, მე ჩემს ქალს არ შე-

## შჳლი უმანკოებისა.

მიძლიან აუკრძალო რომ გრძნობა დააკარგოს, მაშა-სადამე არა მაქჳს შემძლება რომ მოვსპო იმის გულში სიყუარული, მხოლოდ მსურს ის, რომ ვქნმა კეთილი რაც რომ მე შემეძლება... ეს ხომ ესე, მაგრამ არც მინდა რომ მამა მისი დამემდუროს და ამისათჳს მოვიხმარე სხჳა ღონის ძიება. ახლა ხომ მოვხდი დიონისე ჩემს აზრსა. უნდა შეასწაოთ ჩემს ქალსა თუ რა არის ცოლქმრობა და რა დიდი თანამდებობა აძევთ იმ ორთ პირთა, ისიცა ჰკითხეთ: შეართავს თუ არა იმ უმაწვილ კაცს? თუ რომ უარსა ჰყოფს, საქმე გათავდება. თქუენ ამას როგორა ჰფიქრობთ?

დიონისე.

მე... მე თუმცა მოვალე გახლავართ აღვასრულო თქუენი ბრძანება... მაგრამ ნება მიბოძეთ ჯერ მოველაპარაკო თქუენს ქალთან.

დიასამიძე.

დიახ მოილაპარაკეთ. (ოხრავს.) როგორც მთა, ახლა კი ისე მამყოფ, მაგრამ სრულებით კიდევ არ მო-მშჳენია, იმისთანა სხუა მაწუხებს კიდევ, რომელიცა ათასობს რამდენჯერმე ამაზედ.—გესმის დიონისე რაზედ ვამბობ ამას?. ხომ არა შეგიტყუვია რა?

დიონისე.

უკუელივე ჩემი ღონის ძიება დავასრულე მაგა-ზედ და დღევანდელამდინ ვერა შევიტყუე.

დიასამიძე.

არ მერწმუნებით, რომ ზოგჯერ მაგაზედ მრთელს

ცისკარი.

ღამეს არა მძინავს ხოლმე!... ახ! უგონოებით უმაწვილ კაცობის დროების გატარებისათვის მივცემდი ახლა დიდის კმაყოფილებით სრულებით ჩემს ქონებასა, ოლომდკი აღარ მამგონებოდა ის დროება, ახლა კი ვგრძნობ, თუ რა საშინელებაა მდგომარეობა იმ გვარ კაცისა, რომელიცა მიუბრუნდება უყურადღებით წარსულს დროს და ნახავს შეტად საზიზღარსა. ეს არის ბოლო ყოვლის ბოროტის საქმისა. ამისათვის რომ წარსულს დროს აქვს შეკავშირება ახლანდელისა... ვნახო კიდევ რა იქნება. დაეხსენ ისევ ესრეთ დარჩეს... მშვიდობით! ახლა ვაპირებ სანადიროთ წასვლასა, თქვენ კი მოელაპარაკენით პელაგიასა და ერთათ შეუქცეთ სადილსა, რა დავბრუნდებით ნადირობითგან.

(გავა.)

დიონისე.

(მარტო.) ოხ!.. ნეტა ვითარი ტვირთია ეს საქმე ჩემთვის... ნეტა შემიძლიან მე?... მე?... (კრძალვით იყურება ოთხ კუთხივ) პირველად არ შემხვდეს მაინც პელაგია!.. ჯერ უნდა ვიფიქრო, თუ როგორ დავიწყო ლაპარაკი და შემდგომს ისე მოუყვე... ახლა არ შემიძლიან... მოდი ჩავალ ჯერ ბაღში და გულმხურვალედ ვთხოვ ღმერთსა რომ დავბრუნდე ისევ ჩემს სახლში ყოვლის უმიზეზოთ და გულ აუმღვრევად. (გავა.)

დასასრული მეორეს მოქმედებისა.

(განგრძელება შემდგომს წიგნში იქნება.)

---

# მიზეზისათჳს ვაზის სნეულებისა და მისი წამლობა.

---

ნაკლულევანი მოსავალი ღვინისა ზედიზედ ორს ანუ სამს წელს, შეიქმნა ესრეთს უბედურებად, რომ მოქმედება მისი განგრძელდა უშორეს იმ მხარეთა, სადაც მოდის ყურძენი. დიდი შეცდომილება იქმნება თუ ვიფიქროთ, რომ ვითომც ამ უბედურებაში შთაცვივდნენ მხოლოდ განცხრომით მცხოვრებნი კაცნი. პირველად ვენახიანთ მხარეთ მუშა ხალხი უმეტესად შეწუხებული იქმნა იმ მუშაობის მოკლებითა, რომელზედ მხოლოდ არს დამყარებული იმ ხალხის არსებობა. კუნძულსა ზედა მადერისა ამ ნაკლულევანებამ მოახდინა ნამდვილი უსასტიკესის სახის შიმშილი; მეორედ, მრთელი მუშაკთ საზოგადოება და ღარიბი ხალხი იმ მხარეთა შინა, სადაც მოდის ღვინო, შთაცვივდნენ სიგლახაკის წარმომდგენელს უბედურებაში, და დაედო მაღალი ფასი პურსა, რომელიცა შეადგენს მათს უპირველესს საზრდოებასა. გარნა უბედურება იმითი არ დასრულებულა. მოუსვენელობისაგამო ყურძნისა, საჯაროდ შეიქმნა გამოსახდელათ ოტკისა მრავალი სხვა იმ მხარეთ მოსავალი. ფრანციაში მოხმარებული იქმნა ამ საგანზედ ესოდენ მრავალი ხორბალი, რომ მმართებლობამ

# ცისვარი.

დაკრძალდა მოხმარება ამაზედ ხორბლისა, გარნა მხარეთა შინა, სადაც ესოდენი წინა აღმდეგი და როგორც აღმოსჩნდა, უბრალო ღონის მიება არ იყო მიღებული, იქ მოხმარებულ იქმნა, ნაკლულევანების-საგამო ღვინისა, მრავალი ხორბალი. ამას გარდა ფრანციაში დაიწყეს ძრიელ ვრცლად გამოხდა სპირ-ტისა ჭარხლისაგან, რომელიც ამისაგამო აღარ იხმარებოდა შაქრის გასაკეთებლად. დაცოტავებამ და ნაკლულევანებამან შინაურისა შაქრისამან განამ-რავლა მოტანა უცხო ქვეყნის შაქრისა, რომელმაც თავის რიგზედ შეამცირა და გახადა არა უმასაყო-ფელად მიტანილი სხვათა მხარეთა შინა შაქარი, და მაშასადამე აღამაღლა იქ იმაზედ ფასი. ამას გარდა, რადგანც მრავალი ყურძენი იქმნა გამხმარი ჩამიჩად და მეორეს გვარს კორინკად წოდებულად, ამისთვის სნეულებამან, რომელიაც თვით იმ დროს გამოჩნდა და ძრიელ მოქმედებდა იონიის კუნძულე-ბზედ და სხვათა შუა ქვეყნის ზღვის ადგილებში, მოახდინა იქ დიდი ნაკლულევანება ამ გამხმარის ყურძნისა და დიდად დააძვირა, რომელიც ყოველს ევროპიის ნაწილებში ძრიელ საგრძნობელი იქმნა და მოახდინა ამან სიძვირე იმა ყოვლის საგნებისა, რომელიც უნდა მოხმარებულ ყოფილ იყო, მაგიერად გამხმარის ყურძნისა.

ესრეთის სახით, მრავალ გვარად ყურძნის სნე-ულებამ შეაწუხნა არამცთუ ის მკარენი, რო-მელშიაც იყო სნეულება, არამედ თვით დაშთენილიცა ნაწილი ევროპიისა. საჭირო არს მოვიხსენოთ

## ვაჭრის სჯულებისათვის

კიდევ ერთი და უმთავრესი შემთხვევა ამისთვის, რომელიც შეეხების სხჳათა მხარეთაცა: წადება სპირტისა ანგლიაში სჯულებამდის, მოითხოვებოდა ხოლმე ფრიად მცირედი. უბრალო ოტკა ფრანციაში, დუანი გოლლანდიაში და შაქრის რომი კოლონიებში (ახლად-შენს ქვეყნებში), კეთდებოდნენ ესოდენ მრავალი და ესოდენ იეფად, რომელ მხოლოდ ანგლიის სპირტი გაჰქონდათ რომელთამე საკუთარ ანგლიისავე კოლონიებში. გარნა ეს გარემოება სჯულებით შეიცვალა ორს უკანასკნელს წელში: (*) პირველ გზით ანგლია შეიქმნა მრავლის სპირტის გამგზავნს მხარედ და ამასთან უმთავრეს იმა სახელ-მწიფოებისათვის, რომლებსაც იგი ჰრაცხდა მარადის თავის წინა-აღმდეგად, რომელთათანა ანგლიურთ სასმელების მხდელთ არ შეეძლოთ თანასწორება და რომელთ წინა-აღმდგომად და ზღუდედ ანგლიის სჯულებით იყვნენ დადგენილნი განმარჩეველნი და მფარველობითნი ბაჟნი. ანგლიელნი სასმელების მხდელნი შეჰპირდენ ბევრის მომხადებასა სპირტისასა ფრანციის, ისპანიისა და პორტუგალიისათვის. მდაბალ ღვინოებს, რომელიც უწინ იმ მხარეებში იხდებოდა ხოლმე ანგლიის ბაზრისათვის მდაბალს ოტკალ, დაუწყეს გამაგრება გარევათა ანგლიიდამ მოტანილის სპირტისათა.

ანგლიიდამ გამოტანილი იქმნა უკანასკნელს წელში ოტკა შემდგომი:

(*) ეს სტატია არის დაწერილი 1856 წელში.

# ცისკარი.

1851 წელში . . . 84970 ვედრო (სამი თუნგი).
1852» . . . . . . . 129776»
1853» . . . . . . . 306327»
1854» . . . . . . . 251,808»
1855 . . . . . . . 1421055 ვედრო
ათს თვეს 1856» . . . 1337,295.»

ესრეთის სახით 1855 წლამდის საშუალი გამოტანა ოთხს წელს შეადგენს 191000 ვედრას წელიწადში, 1855 წელში გამოტანილ იქმნა სპირ-ტი უმეტეს 1,412,000-ის ვედრისა, ხოლო აწინდელს წელში (*) აიწევს მაინც ერთს ნახევარს მილიონს ვედრომდის. ეხლა, თუ მივიღებთ ყურადღებაში იმ მრავალს რაოდენობასა ხორბლისასა, რომელიც მოუნდათ სრულებით ახლის საჭიროებისათვის მოუსვლელობისაგამო ყურძნისა და თუ მოვისაზრავთ რომელ ყოველი ეს სპირტი არის მომატებული იმ სპირტზედ, რომელიცა იხდება ანგლიაში შინა-ურ მოსახმარებელად, მაშინ შეიძლება კარგად განვმარტოთ ერთი უპირველესი მიზეზი ქერისა და შვრიაზედაცა მაღლის ფასების დადებისა. აი რო-გორის გზებით უბედურება, ვენახიანის მხარების შემაძრწუნებელი, განვრცელდა არა პირ და პირ სხვათა მხარეთაცაზედა.

საბედნიეროდ ქვეყნისა არის კარგი საფუძველი, ვერწმუნოთ, რომ სნეულობა დამცირდება და გამო-

---

(*) ზემო უკვე თქმულ არს, რომ ეს სტატია არის დაწერილი 1856 წელში.

# ვაზის სნეულებისათჳს

ჩენილა იმისი წინააღმდეგი ღონის მიება. გაუწყებთ ამით ღირსსა დიდის განხილვისა ცნობასა ამ სნეულობაზედ და წარმატებით ნახმარს განსაქარვებელად მის ღონის მიებაზედ, რომელიც გამოწერილ არს ტაუკის და კამპანიის სავაჭროს ცირკულიარიდამ. (მიწერილის სხვათა და სხვათა პირთათჳს წიგნიდამ) იონიის კუნძულზედ, სადაც პირველად აღმოჩნდა უურძნის სნეულება, და სადაც დიდად განვრცელდა, ეხლა მსწრაფლად იწყო განქარვება, ესრედ რომელ მოსავალი ამ წელში გამოჩნდა მეტოდენად კარგი, როგორიც იყო ხოლმე უწინარეს სნეულებისა, ესე ვითარი ცვლილება მოხდა გოგირდის ხმარებისაგან. შემდგომი ზემორე სნეულებისა წიგნის ცნობა შესაძლო არს წაკითხულ იქმნეს დიდის კმაყოფილებით.

ანგარიში ღვინის ვაჭრობისა შეიმალა და ესოდენ აღარია უურძნის სნეულების დაუცხრომლობის მოქმედებითა, რომელ ჩუენ ვჰგრძნობთ უცხოველესსა კმაყოფილებასა რადგან მოგვეცა შეძლება ვაცნობოთ ჩუენთა მეგობართა, რომელ ეს საშინელი სასჯელი აწინდელს წელში მრიელ და წარმატებით მძლეულ-იქმნა და რომ სწავლამან დასასრულ გვიჩვენა ღონის-მიება, რომლის შემწეობით შეიძლება ვიმედოვნებდეთ სწორესა და მსწრაფლსა განქარვებასა ამა სნეულებისასა.

შესასწავებელ არს რომლისამე სახით ეს გარემოება, რომ სნეულება დაიწყო, ანუ პირველად იქმნა შენიშნული, ანგლიაში. სათბობნი სახლნი

(ტეპლიცი), სადაც ზამთარში ინახება ნილუფარი თბი-ლის ქვეყნისა, მათის სამარადისოს სითბოსა და ნოტიობისსაგამო, საგონებელ არს საკუთრივ აჩენენ ამ სნეულებასა, და 1846 წელში ტუკკერმა მარ-დიტელმა, პირველმა მიაქცია ყურადღება ბოტანი-კოსთა (მცოდნეთა ბალახის ხასიათისათა) ამ საკუთარს სნეულების გვარსა ზედა, რომელიც გამოჩნდა იმის ვენახში და მიიღო იმისი სახელით თვსი წოდება «ტუკკერის სოკო». საგონებელ არს, რომ ეს სნეულება ყოფილა ძველს დროებშიაც, ამისთვს, რომ პლინიის «ბუნებათის ისტორიაში» იმყოფება აღწერა ყურძნის სნეულებისა ნიშნებითა ამ გამოჩენილის სნეულებისა მსგავსითა; გარნა არ არის არა ვითარი ისტორიული ჩვენება, რომლითაც შესაძლებელ იყოს დავამტკიცოთ, რომ ამ სნეულებას მოეხწიოს ესოდენს ვრცელს ზომამდის, როგორც ჩვენს დ დღეში.

«ანგლიიდამ, როგორც ჰფიქრობენ სნეულება გა-დვიდა ფრანციაში, სადაც იგი პირველად შეჩნეულ იქმნა სათბობთა სახლთა შინა მახლობლად პარიჟისა 1847 წელში; შემდგომად ამა წლისა განვრცელდა ცოტ-ცოტად ყურძენხეზედ განდეგულს ჰაერში და 1849 წელში მიაღწია ისრეთს სავრცელემდის, რომ შე-იქმნა საგნად საკუთარისა გამოძიებისა ცენტრალნისა (საშუალ წერტილის) მიწის მუშაობის საზოგადოებისა პარიჟში. დაუდგრომელნი სწავლულთ გამოძიებანი გარემოებისათვს სნეულებისა დასასრულ დაბოლოვ-დნენ წარმატებითა, და დიდის შიება წინააღმდეგად

## ვაზის სნეულებისათვის.

სნეულებისა იქმნა გამოჩენილი.

«ტუკკერის სოკო არის ერთი მრავალ რიცხვთაგანთ საიდუმლოდ ქორწინებულთა სოკოს მსგავსთა მცენა-რეთაგანი, რომელთ განმრავლების ღონის-ძიება დამალული არს, ვითარცა თვით წოდებაცა მათი აჩვე-ნებს. ეს საკვირველად ყურძნის მომწამლველი სოკო-ისკრის აღურაცხელისა რაოდენობასა მცირედთა მრგვალთა სხეულთა, მარტივის თვალით დაუნახავთა, რომელიცა ქარით დაფანტულნი დაეცემიან იმათის ზრდის ნიჭიერებით მექონთა მცენარეთა ზედა და ეს სოკონი მრავლდებიან იმ მცენარეებზედ შესაშური რაოდენობამდის. ერთს დროს საზოგადოდ იშიშ-ვიდნენ, რომ ეს სოკო არის შინაგანი ყურძნის სნეულებათ, გარნა გულ მოდგენილთა გამოძიებათა წარმოგვიდგინეს სანუგეშო საბუთი, რომ ეს წახ-დუნა ყურძნისა არის გარეგანი.

«წინააღმდეგომ ამ სნეულებისა იქმნენ წინა-და-დებულნი და ხმარებულნი კურმოზითის წარმატებით სხვა და სხვა ღონის-ძიებანი, ვიდრემდის სწავლამან და გამოცდილებამან გარდასწყვეტით დაგვარწმუნეს, რომ მხოლოდ გოგირდი შეადგენს ღონის-ძიებასა, რომლისაცა შესაძლო არის ვენდოთ და რომელიცა არის ნამდვილი სრულებითი ღონის-ძიება.

«მირეველად მოქმედება გოგირდისა გამოცდილ-იქმნა სნეულს ვაზზედ სათნობით საზღვრებში. ოდესაც პოვნილ-იქმნა რომელ დაურიდის სიონის გასაცდენელ ლითონის (მეტალის) მიდამოზედ გოგირდის ორთქლი სრულიად საკუთრივ განაქარვებს სნეულებას ამ წარმატებით

# ცისკარი.

გამხნევებულთ მამულის პატრონთ მოიხმარეს გოგირდი ყურძენზედ ვენახებში. პირველად ეს იხმარა ფრანციაში ერთმა მიწის მოყვარებულმა მედონში, ხოლო შემდგომად დრაფთ: დიუშატელმა, დესუზმა და პასკატორიმ, ჟირონდის დეპარტამენტში; ეგრეთვე წარმატებით იხმარეს გოგირდი როზშარმიმ ათაათის დეპატანის ვენახში, ტომერში და მარმა, სეკრეტარმა მონპელიის მიწის მოქმედების საზოგადოებისამან, რომელმაც განაცხადა მოქმედება თვისთა გამოცდილებათა საკუთარის საგნით, გამოცემულით ყურძნის სნეულებაზედ.

«გონტიემ მონტრეულელმან, მახლობელად პარიჟისა, მოიგონა მარტივი და მახვილ-გონიერული იარაღი დასაპნევად გოგირდისა. აღწერისამებრ, ის მიეგვანება საბერველთა გუდათა საკუთარის საკისათა, რომელთაცა აქვსთ გაკეთებული კალის ყუთი ჩასადებად გოგირდისა, გაღებულის ტუჩის მახლობლად. ყუთში ჩადის გოგირდი 59 მისხალი, რაიცა საკმაო არს მოორთქლიად იქმნეს 30 — დამ 50 ვაზამდის, მიხედვისაებრ ფურცლების სიმრავლისა. გოგირდი უნდა მიეყაროს მაშინვე, როგორც პირველი ნიშნები სნეულებისა გამოჩნდეს; ვაზებს უნდა გულ მოდგინეთ ყურის გდება და მოყრა გოგირდისა, განუმეოროს მცირედის გამოჩენისა დროს ახლად სნეულებისა. სამი მოყრა გოგირდისა საზოგადოდ კმასაყოფელ არს: პირველი უწინარეს მეორე იმ დროს, ოდესაც სნეულება გამოჩნდება, და მესამე შემდგომად ყურძნისა აღყვავებისა. თჳთ

## გუანოს სარგებლობისათვის.

ნამდვილი მოყრა ის არის, რომელიც იქმნება დროსა აღყვავებისასა, რომელსაც გოგირდი საკუთრივ ეშემწევებას. ივი კეთილ-შემწყნარებელი დრო ამ გოგირდის მოყრისათვის იქმნება ფიცხელის მზის ბრწყინვალებისა ჟამს. თვითოს მოყრაზედ ერთს დესიატინას მოუნდება 5 და ნახევარი ფუთი გოგირდი, რომელიც ეღირება რუსულად სურნი ცკეტად. ეს რავ-დენობა ღირს ფრანციაში 14 ფრანკად (3 რუბლად 30 კოპეიკ ვერცხლის ფულად); მუშაობა ფასობს 6 ფრანკად (1 რუბლს 64 კოპეიკად დესიატინაზედ) სრული ხარჯი თვითოს გოგირდის მოყრაზედ შეად-გენს 20 ფრანკსა დეკტარს ანუ დესიატინაზედ (5 რუბლს 44 კოპ. ვერცხლის ფულსა), ხოლო სამგზის განმეორება იქმს 60 ფრანკს (16 რუბლს 23 კოპ. ვერცხლის ფულს, დესიატინაზედ).

«ჩინებული წარმატება ამ ღონის ძიებისა ფრან-ციაში იქმნა დამტკიცებული და ამ ღონის-ძიების მოქმედებაზედ მოხსენდა ფრანციის ვაჭრობის მინი-სტრსა.

«თუმცა წარჩინებული და კმაყოფილი არის ეს ცნობანი, გარნა ცნობანი იონიის კუნძულიდამ აჩვენებენ კიდევ უდიდესსა წარმატებასა გოგირდის მოყრისაგან და საზომით უვრცელესსა. 1851 წელში ამ კუნძულიდამ გაიგზავნა ზღვას იქით 2,500,000 ფუთი კორინკა (გამხმარი ყურძენი) აღმატებულის საკვეთისა, 1852, 1853 და 1854 წლებში, ყურძენი მძლავრი კორინკისა, ძრიელ გაფუჭებული ტუკამ-რის სოკოსაგან, სრულებით არ მოვიდა. 1855

## ცისკარი.

წელში ნაწილი ყურძნისა გამოყენებულ-იქმნა, და გაიგზავნა კორინკა ზღვის იქით 434,000 ფუთამდის, გარნა ცუდ გუარი; აწინდელს უკეთ წელში თონიის მამულებისა პატრონთა იწყეს მრიელი ხმარება გოგირდის მოყრისა, და ესრეთის წარმატებით, რომელ იმათ ახლა გაისტუმრეს 1,250,000, ფუთი კორინკა, თანასწორის სიკეთისა იმასთან, რომელიცა იყო ჩინებულს 1851 წელში. ამ ბედნიერს-ცვლილებითა იგინი განსაკუთრებით დავალებულ არიან ხმარებისაგან გოგირდისა, ამისთჳს-რომელ თჳთ ამ წელშიაც იმ მამულთ პატრონთ, რომელთაც შეურაცხყვეს გოგირდის მოყრა, შეემთხვათ თავეთს ვენახებში ზარალი ამ სნეულებისაგან ისრეთივე, როგორც უწინდელს წელში.

«შემდგომად ესოდენ გამოჩენილთა შემთხვევათა და ესრეთის თვალით ხილულის სრულის წარმატებით ტუკერის სოკოს მძლევისა, არ შეიძლება ვიჭვნეულობდეთ, რომ მფლობელნი ვენახებისანი ფრანციისა, ისპანიისა და პორტუგალიაში, ყოველს წელში მიიღებენ ძლიერთა ზომათა, წინააღმდგომ მოქმედთა და მძლეველთა ამა სნეულებისათა. ერთად ამისთანა შესაძლებელ არს ველოდეთ დაკლებასაცა ღვინოების ფასისასა.»

ზ. მამაცოვი.

## სამგზავრო წიგნები.

## წიგნი მეორე (*).

კთ — ივლისს 1857 წელსა. ქ. გორს.

მოგზაურობა ჩემი გუშინდელს დღეს იყო მეტად სასიამოვნო. დღე დაგვიდგა მშვენიერი, გზაზედ ყანებას შრიალი ნიავთაგან მეტად დაატკბობდა ყურსა მოგზაურისასა. საღამო იყო გრილი, მზე წყნარად შორდებოდა ციაგსა ცასა, რომელსაც დამანახვეს შორითგან მარჯვნივ მტკვრის გაღმა, ციხე უფლოსხისა. ნახევარ საათს თითქმის დაუმსტიბებოლი ყურე-ბითა ჭე არ ვაშორებდი თვალსა. პირველი ჩემი განზრახვა ტფილისითგანვე იყო, რათა მენახა ციხე იგი, რომლისაცა აღწერა მრავალჯერ წაგვიკითხავს გაზეთს «კავკაზში.» მოატანა რა ბინდმა, შეველი ქალაქს გორს, გარნა დიდად ვიწუხებდი, ვინაჲთგან გზით დაღალულსა მეჭირვებოდა ბინა. დავეძებდი სადგომსა, აქა-იქ გამოვიდოდენ მცხოვრებნი მდაბალთ

(*) პირველი წიგნი დაბეჭდილია გავლილის წლის ნომრის ცისკარში, 11-№-ში.

# ციხკარი.

ხალხთაგან და უგულოდ მიმიწყვდნენ. უნდა გულწრფელობით გამცნო მეგობარო ჩემო, რო გორი მეტად მოსაწონი ადგილია, წყლიანი, და ბაღნარიანი, თითქმის ყოველს ქუჩას ქვეშომდინარე საკუთარი წყალი ჩამოუდის; ციხე ხომ, ნუღარ იტყვი, თუ ვით ამშვენებს ქალაქსა! ციხე ესე შუაგულს არის აღსული მაღლობზედ, ძველ დროს მორთული ქართლი ამა ციხეში თურმე იფარავდა თავსა მტერთაგან, გორის ჯვარის მფარველობითა, რომელიცა გადმით მხრივ შორიდამ დაჰყურებდა თავისთა ვით ახლა ერთგულთა მლოცავთა, რომელნიცა მკვდრებოდნენ ჟამსა სისხლის ღვრისასა........ როგორც ჩემით გსთქვი, გორს ჩინებული მდებარობა აქვს, მაგრამ რას იტყვი, მდაბალი ხალხი მეტად გარყვნილია!... ეტყობა რომ ადგილობრივ მთავრობას ცოტათი მიუქცევია ყურადღება. ახლანდელის ადგილობრივ მთავრობისაგან, იმედია როგორც სჩანს, მოსპობს ესე ბოროტებას. ბაზარი არის მხოლოდ ერთი, რომელიცა დახურულია, მაგრამ მეტად მრუდე და ამასთანავე ერთს დუქანში ნახავთ რომ ცალს მხარეს ვაჭარს უწყვია საქონელი და ცალს მხარეს ტაკჭებისა ფიჩეკენ, არის იმასთანა დუქანი რომ სამნი სხვა და სხვა ხელოსნების კაცნი სხედან, მაგალითად: ჭონი, უნაგირების გამყიდავი (სარაჯი) და სირაჯი. რისუფლოთ გიჩვენე წმინდა ლოახი, სადაცა შევაფარე თავი. ახ, მეგობარო ჩემო! უკეთუ იქნებოდი აქ, რა კარგად გაატარებდი დროსა. რა არავინა მყავანდა დროს გამტარებელი,

# სამგზავრო წერილები.

მალე მივიძინე. დღეს დილით სარბენჩედ გამოვედი, და ვისიამოვნებდი ახალ აღმოსულის მზის სხივითა და და ვუჭვრეტდი მოკამკამეს წყალსა ჩემ წინ მომდინარესა, გამოაღო კარი ერთმან ახალგაზრდა ყმაწვილმან კაცმან და როგორც ჰსჩანდა სურდა იმასაც ჩემებრ დატკბობა დილის წმინდა ჰაერითა. ვინაობის შეტყობის მოწადინემან და შევხედე და და დავაკვირდი თვალი, ვიცან მეგობარი ჩემი ბ. უნდა იცოდე, საყვარელო ჩემო ამხანაგო, თუ ვითარსა სიხარულსა მიეცი მე, თუ ის, ასე მეგონა შენა გნახე! გარდავეხვიენით, დავკოცნეთ გულმხურვალეთ, მეგობრობითის გრძნობითა. იმ ღამეს მართლა ათე-ნებდა მეგობარი შენი და და იცოდა თუ ვითარ შენებრ მეგობარი იდგა გვერდს ოთახში. დღეს მრთელი ქალაქი დამატარა, რადგანაც იცის ამ ქა-ლაქის გარემოება, მაჩვენა გ. მა... მეტად შემწე ჩვენის საწყალის «ცისკრისა» კაცი მეტად კე-თილი და პატიოსანი, სახის-მეტყველება ცხადად ამტკიცებს ყოვლის კეთილით სისრულესა, დიდის ალერსით მიმიღო, სურდა ჩემთან როგორც ჰსჩანდა დიდხანს ლაპარაკი. გარნა რადგან უფლოსის ციხის სანახავად ვეშურებოდით, ამისთვის სამწუხაროდ ჩემდა ჩქარა დაუტევე და გამოვეთხოვე. დღეს ვაპი-რებთ უფლის-ციხის ნახვასა, რომლისაცა ხილვა დიდი ხანია ჩემს გულში არის გამოხატული!... რავდენსამე დღეს შემდგომ მიიღებთ ჩემგან კვალად წიგნსა, სადაცა მცირედ აღვწერ ჩემ მიერ ნახულსა.

შენი. კ.

## სხვა და სხვა ამბავი.

---

### ბანკი კეთილ-შობილთა და მოქალაქეთა ტფილის-ში.

---

ტფილის-ში ეხლა დიდი თავად-აზნაურთ ყრილობაა. უეჭველი მისვლება, თუ რას ნიშნავს ეს შემთხვევა. განვლო სამმა წელმა უკანასკნელის ბანკის შემდგომ. წარსულს დეკემბერში, განკარგულებითა მთავრობისათა, იყვნენ მოწოდებულ თავად-აზნაურნი ტფილისის გუბერნიისანი საწარმოებლად ახლის არჩევებისა. და აჰა მოაწყდნენ იგინი ქალაქს ტფილისს. არჩევიან მარშლები, დირექტორები პრიკაზში, მდივანბეგი სამსჯავროს პალატაში, დეპუტატნი და სეკრეტარი დეპუტატსკის სობრანიაში. დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკით არჩევას. რაჲცა ეკუთვნის საკუთრად უმაღლესს მადლს, ესე იგი მონიჭება ადგილებისა, იგი მასვე უმაღლესს მადლს მიუნდვია ამ შემთხვევა-ში საზოგადოებისა-თჳს. ესე არის უმშვენიერესი და უწარჩინებულესი მუხლი რუსეთის კანონ-დებულებისა, რომელიც არის განვრცელებული, თჳთ დასაწყისიდამ რუსეთის აქ

# ც ი ს კ ა რ ი.

მართებულობისა, საქართველოს კეთილ-შობილებაზე-დაც თანასწორი რუსეთის კეთილშობილებას-თან. მაშა-სადამე, უნდა ყველამ ფას-დებულ ჰყოს ეს მცირეოდესი ძალი, მონიჭებული ჩუენის საზოგადოებისადმი. იქმნება, მნიშვნელობა ამ საქმესა აქამომდე არა ყველას და არა სრულად ეუფრებოდათ. მაგრამ ახლა, როდესაც ადგილობითი საზოგადობა თან-და-თან წინაურდება ზნეობითის გზაზე, როდესაც თვი შედის გულის-ხმაერება-ში და ტყობულობს ვითარცა საზოგადოებითს ვალდებულებას, ეგრეთვე ერთობ კაცობრიობის ღირსებას,-ახლა ვგონებთ არცა იყოს საჭიროდ მომატებულად ვისთჳსმე განმარტება კენჭის ყრისა. მაგრამ მაინც ვალდებულ ვართ ვისურვოთ, რო ამომრჩეველნიც და ამორჩეულნიც იყვნენ დამყარებულნი ამ აზრ-ზედ, ესე იგი: პირველთ იცოდნენ თუ ვის რომელს ადგილ-ზე ირჩევენ, ხოლო უკანასკნელნი, მინდობილთ მათდა თანამდებობათა-ზედა, დაიცვავდნენ რა სარგებლობას თავიანთის საზოგადოებისას, ამასთანავე შეესაბამებოდნენ-ცა მართებლობის განზრახვათა და წინადადებულებათა. უმეტესად საჭიროდ მიითვალება ეს ზრუნვა მარშლებისა-თჳს, რომელნიც არიან შუამავალნი და ამასთანა-ვე უმჯობესნი თანა-შემწენი მთავრობისა, საზოგადოებითს საქმეთა შინა. —

კენჭი ჰსწარმოებს, ადრინდელებ, სომხის სემინარიის ზალა-ში, რადგანაც ქართველთ კეთილ-შობილთ არა აქუსთ ამ შემთხვევის თჳს საკუთარი სახლი.

## სხუა და სხუა ამბავი.

იმავ ზალა-ში ჰქონდათ, განვლილს თვეში, აღ-რჩევანი ტფილისის მოქალაქეთაც. სამწუხაროა, რო იმათ მაინც, თავიანთის შეძლების-გამო, არ უფიქრნიათ აქამომდე აღშენება ანუ მოპოვება, კენჭისა თუ სხუა-გუარ ყრილობისა-თჳს, საკუთარის სახლისა, მაშინ როდესაცა მათს რიცხვში არიან ბევრნი, მეტად შეძლებულნი პირნი, რომელნიცა თჳთოეულნი ჰხარჯვენ ათი-ათას თუმნობით და აღაგებენ საკუთარ სადგომ შენობაებს. ღმერთმა ინებოს, ეს ჰაზრი მოუვიდეს ახალ-აღრჩეულს გალავას მაინც, გ. ბ. ა—ს, რომელიცა, როგორც ვიცით, არა ჰზოგავს თავის ქონებას საზოგადოს სარგებლობის-თჳს, და ამ შემთხვევაში აქამომდე ბევრ რიგათ კიდეც უსახელებია თავისი თავი.

თი.

---

## გავზავნა კეთილ-შობილთ ყმაწვილთა კადეთა პეტერბურღში.

მრავალთ ტფილისში ვეჭობ შეუნიშნავსთ, უკანასკნელს დროში, თითო-ოროლა ყმაწვილი-კაცი, უცხოთ ჩაცმული და დაიარაღებული, რომელნიც წარმოაჩენენ გამოჩენილის გვარის-შვილებს და სხუა-და-სხუას ჩუენის მხრის ადგილებიდამ, ესე იგი: ქართლიდამ, კახეთიდამ, იმერეთიდამ, სამაგრელოდამ, გურიიდამ. უნდა მოგახსენოთ, რო ესე

# ლისკარი.

არს მცირედი, მაგრამ, დარჩეული, დიდთა-გვართაგან შედგენილი ამალა, დანიშნული გასაგზავნად, ჴელმწიფის იმპერატორის მოწოდებით, პეტერბურღში. წარსრულის წლის დასაწყისს, შეჴსდგა მისის იმპერატორებითის დიდებულების უმაღლესი ბრძანება, რათამცა განსავრცელად საკუთარის მისის დიდებულების კანვოისა, ესე იგი თანა მხლებლის ცხენოსნისა, შეჴკრბენ ოც და ხუთი ახალგაზრდა კაცი უწარჩინებულესთ თავად-აზნაურთ გვართაგან, მართალ-მადიდებელის სარწმუნოებისანი, მრთელ სხეულიანნი და არა გარდასულნი ოცდა ხუთს წელს შობიდამ, და წარიგზავნენ პეტერბურღს სამსახურისთვის საკუთარის მისის დიდებულების ცხენოსანში. მალითა ამა ბრძანებისათა, ადგილობითი მაღალი მთავრობა შეუდგა მაშინვე მოძახებას ამ უმაწვილ-კაცებისას, და ამა უმჯობესთა გვართა საქართველოსათა წარმოადგინეს თავიანთი შვილი, სრულის ღირსეულის სამზადისითა და იგი რიცხვით, რომელიც იყო მოთხოვილი მთავრობისაგან. საკუთრად ტფილისის გუბერნიიდამ არის წარმოდგენილი ცხრა კაცი ქართველისა და ორი სომხის გვარისა. მათს ნაჩალნიკათ არის დანიშნული, უფლის კავკასიის ნამესტნიკის ამორჩევით, ქართველივე, კაპიტანი კნიაზი ილია ჩოლოყაშვილი. ზოგნი კიდეც გაემგზავრნენ, და ზოგთ წაასხავს ამ დღეებში თვით ჩოლოყაევი.

რასაკვირველია სასიამოვნო იქმნება მშობელთათჳს, ნათესავთა და თჳთ თანამემამულეთათჳს, იცოდნენ, თუ რასში მდგომარეობს მათა დიდებულებისა

# სხუა დ̃ სხუა ამბავი.

ზემოხსენებულთ ყმაწვილთა-კაცთა-ზედ. ამას-გამო საჭიროდ ვჰრაცხთ მოვიყვანოთ აქ შემოკლებით გამოკრეფა იმ დადებულებიდამ.

კელმწიფეს იმპერატორს ახლავს ცხენოსანი, რომელსაც ეწოდების «საკუთარი მისი დიდებულების კანვოი,» ანუ თანამხლებელი ცხენოსანი. იმას რიცხვში აღრითგანვე იმყოფებიან გამორჩენილნი გვა-რნი ჩერქეზთა დ̃ სხუათა მუსულმანის სარწმუნოების ერთა, დ̃ შეადგენენ წოდებით «ლეიბ-ღვარდიის კავკასის ესკადრონს.» კელმწიფე იმპერატორმა ინება, როგორც არს მოხსენებული ზემოთაც, დამატება ამ ესკადრონისა ქართველთ წარჩინებულთ გვართა-განცა, რომელნიც შეადგენენ პირველს ვზვოდს იმ ესკადრონისას. ესკადრონის ნაჩალნიკად არის დანიშნული თვით იმპერატორის ფლიგელ-ადი-უტანტი, გვართომობით ქართველი, პოლკოვნიკი კნიაზ პეტრე ბაგრატიონი, ხოლო მთელს ცხენოსანს ეუფლება უფროსათ კამანდუიუშჩი იმპერატორის გლავნის კვარტირისა, ღენერალ-ადიუტანტი გრაფი ადლერ-ბერღი. კელმწიფის ბრძანების მეათე მუხლში არის საკუთრივ მოხსენებული: კანვოის უფროსს მალუმს წა-რადგინოს მის იმპერატორებითის დიდებუ-ლებასთან იუნკრები ლეიბ-ღვარდიის კავკასის ესკად-რონისა აფიცრობაზე ოთხს წელიწადზედ ერთ, უკეთუ გან-სხვავებულის ყოფა-ქცევით, სამსახურის ცოდნით დ̃ საკმა-ყოფილოს განვითარებით დარს იქმნებიან იგინი აფიც-რობისა. ხოლო უფროსნი აფიცერთაგანნი, ჯილდოდ განგრძელებულისა დ̃ ბეჯითის სამსახურისა, წარსდგე-

# ცისკარი.

ბიან სხჯას სამსახურში გადასვლის ჟამს ანუ კანვოიდამ განთავისუფლებისა-დროს, რათა ეძლეოდესთიგივე ჯამაგირი, რომელიც ჰმდევათ კანვოიში."

ესრეთი წამოვლენილი ერთმთავრული მოწყალება რასაკვირველია უნდა ჰმსახურებდეს როგორათაც ნუგეშად მშობელთა, რომელთაც არა უზრალოდ გამოუმეტებიათ თავიანთნი შვილნი, ეგრეთვე გასამ-ხნევებლად თვით შვილთა-თვის, რომელთაცა მეუათი სამსახური თვით იმპერატორის თვალთ-წინ, იქმნების ასე უხვად დაფასებულ და დაჯილდოებულ.

თ.

---

## გამოფენა ბუნებისა და ხელითა ნაწარმოების ნიმუშებისა ტფილისში.

რაკი შემოვიტანეთ ამ ნომერში ყოველივე ღირსი საცოდნელი ჩუენთა მკითხველთა არა შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ აქ უმეტეს ისეთს საგანზე, რომელიც, შეეხება რა საზოგადოობითს სარგო საქმეს, ამასთანავე წარმოადგენს შემთხვევას, რომელიც არა ხშირად მოხდება ხოლმე.

ყველამ იცის საკმაოდ, რომ ჩუენნი კავკასიის მხარე არის მდიდარი ყოვლის ბუნების ნიჭით, რაჲცა-ვი ეთვისება მთელის ქვეყნის ჰავებს და მთელის ქვეყნის ადგილებს; მაგრამ რასაკვირველია არა ყველამ

# სხჳა და სხჳა ამბავი.

უწყის, თუ საკუთრივ და ნიშნეულ რას-ში მდგომარეობს საუნჯე ამ ქუეყნის ბუნებისა, და ან ამ ქუეყნის-ზე კაცს როგორ მოუხმარებია ეს საუნჯე, როგორ მიუახლოვებია თავის ჴელოვნებას-თან. ამ გვარი ჩუენება შეადგენს ყოველთჳს ძირკველს ნაროზას მოსაპოვებელად ჭეშმარიტის ცნობისა ადგილ-ზე, და არის საჭირო ვითარცა მთავრობის-თჳს უმეტეს სახალხოდ. ამისთჳს უნდა მადლობელი ვიყვნეთ კავკასიის სახლ-კარიანობის საზოგადოებისა, (Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства) რომლისაც ზრუნვით იყო მოგროვილი მთელის კავკასიის მხრიდამ ნიმუშები მიწისა, ანუ ველთა ნაწარმოებისა, და ეს ნიმუშები იყო გამოფენილი და გამოწყობილი ტფილის-ში საყოველთაო სახილველად და საცნობელად. ეს გვარი გამოფენა (выставка) მოხდა ერთი 1850-წელსა, და მეორეც იყო ეხლა, წარსულს დეკემბერში.

როგორც ვიცით ეს გამოფენა, ანუ ვისტავკა, იყო ნაფიქრები იმ შემთხვევის-თჳს, რო უნდა მობრძანებულ-იყო ტფილის-ში მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, ჴელმწიფის ძმა, მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე; მაგრამ რადგანაც ეს ბედნიერი შემთხვევა აღარ მოხდა, და ნიმუშები იყო დაბარებული და ზოგი კიდეც მიღებული, ამის მიზეზით საზოგადოებამ ამჯობინა იმათი გამოაშკარება, და მის-თჳს იყო აღმორჩეულ სახლი საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტისა, კნიაზ ვ. ო. ბებუთოვისა.

# ცისკარი.

ძნელად ნახავს კაცი იმ გვარს სანახავს, რომელსაც
წარმოადგენდა ვისტავკა. იქ, სულ მცირე ოთახში,
იყო მოგროვილი და მოთავსებული ყოველი, რაიცა
შეადგენს ნამდვილს სიმდიდრეს აქაურის ქვეყნისასა.
გასაკვირველია ეს არა არის ჯერეთ სრული სურათი
ყოვლის საუნჯისა, და ვინ იცის რამდენი იყოს
კიდევ აქაურის ბუნების წიაღში დაფარული საგანი,
რომლისათვისაც კაცის შრომას ჯერეთ არა
მიუწვდენია. მაგრამ რაც-კი ვნახეთ ეხლა, ეს ყოველი-ვე
იყო გასაოცარი. დაბეჭდილს სიაში ითვლება სულ
1867 ნიმუში, მაგრამ-რამდენი შეგვხდა კიდევ
საგანი, რომელიც არ იყო ჯერ შემოსული სიაში.
მეტად გაგვაკვირვა ჩვენ იმ კოლოვნებამ და იმ
ლაზათმა და რიგმა, რომლითაც იყო გამოწყობილი
ყოველი საგანი. ჯერ, კიბის-პირს, ასასვლელთან
იყო წამოგორებული აქეთ-იქით ვეება თიხის ქვევ-
რები, წარმოდგენილი ტფილისის უეზდის მოსახლ-
კარის ივან პეტროვიჩის არჯვანიძის-
მიერ. თვით უდიდესი მათ-განი ჩაისხავდა ღვინოს
ხუთ-ასს ვედრას, ესე იგი ხუთ-ასს ჩაფს, ანუ თე-
ქვსმეტს საპალნეს, ანუ სამს ურემზე მეტს. ასწილდე-
ბოდა-რა კაცი გრძელს კიბეს, დაფენილს წითელის
მაუდით და შემოწყობილს ყვავილებით, შევიდოდა
პირველად მარცხნივ მაღალს ოთახ-ში. აქ, ფანჯ-
რების პირის-პირ კედელზე, გარე-შე ვენზილისა
კავკასიის ნამესტნიკისა, კნიაზ ა. ი. ბარიატი-
ნსკისა, იყო რიგ-რიგად ჩამოკიდებული სხვა და
სხვა უმჯობესის კოლოვნების საჭურველი, რომლისაც

# სხუა და სხუა ამბავი.

რიცხუში ნამეტნავად მოაქცევდა დიდს ყურადღებას ოქროს და ვერცხლის მორთულობით, სხვადასხვანაირი თოფი, წარმოდგენილი ახალციხიდამ, მიკირტიჩ ჩიფტალარისგან და დაფასებული ოც-თუმან თეთრ ფულად. ამავ ოთახს განამშვენებდნენ ძვირ-ფასი ოქრო-მკედლის ხელ-საქმენი, ესე იგი ქალის ქამრები, ბეჭდები, რომლების უფროსი ნაწილი წარმოდგენილი იყო ბაქუელის კლოსნის მელიქ-მამან-ცა ჯი-უსუფოდლის-მიერ; ჩერქეზუ-ლი უნაგირები, ყანწები, ინდოურის კაკლისაგან გამოყვანილი ჩასასხმელები, მარმარილოს ქვიდამ გამოჩუქურთმული ლამბაქები, ჯამები, სტოლები. აქედამ გადავიდოდით რა ზალასა-შინა, განშუენი-ერებულსა პორტრეტებითა ხელმწიფის იმპე-რატორისა და განსვენებულის ფელდ-მარშლისა ვარანცოვისათა, იხილავდით ვრცელს შეკრებას სხუა და სხუა დედა-მიწის მცენარეთა, თესლთა, ყოველგვა-თა ნიმუშთა შენობის ხეთა და მადნის ქვათა, ჭურ-ჭელსა კნიაზ ელიზბარ ერისთავის მიერ ჩაკვიდამ, რომელიც ამ გზობით იყო მეტად სუ-ფთა და განვითარებული. — მესამეს ოთახში წარმო-ვიდგინოდათ კედლებ-ზე გარდმოფენილი კარვის ჯინშისა და ყვავილებისა ხალიჩები, ფარდაგები, ქეჩები, ხურჯინები შუშიდამ, ნუხიდამ და განჯიდამ; მატყლის ჯეჯიმები — ეს უცნობი თითქმის მატერია ევროპიელთა-თჳს, იმ ქვეყნებიდამვე წარმოდგენილნი განკვირვებულ-ჰყოფდნენ ყველას. გვითხრეს ჩვენ, რო ნიმუშები ამ ჯეჯიმებისა არის დამზადებული გასა-

# ცისკარი.

გზავნად მარიეის ვისტავკა შო. იქვე ნახავდა კაცი მშვენიერს ნუხურს წინდებს, ქოშებს, მშვენიერს ნაქსოვს ყაჯრებს, ხავერდის კურტკებს, ანუ ჯუბებს ქალების ჩასაცმელს, ოქრომკედით მორთულს, საგანგებოთ დალიანდაგებულს ატლასის ახალუხებს: ერთის ახალუხის საყელოზე ვნახეთ ეწერა ოქრომკედით მოქსოვილის ასოებით სახელი და გვარი ოსტატისა: ნ ი კ ო ლ ო ზ ხ ე ჩ ა ტ უ რ ო ვ ი, ვუმრიდამ. შემდგომს ოთახ-ში იყო გამოფენილი ფეიქე მატერიები, მაგრამ უფრო მხვილ-ნაქსოვი, მოთელილი ნაბდები, შილები, და სხვანი. — მეხუთეში იყო ჩ. მორიგებული ჭაშნიკები ათას-ნაირის ღვინოებისა და სხუა სასმელებისა, კარგი შოთები, კარგი ბურები, ნიმუშები სხუა და სხუა ხორავისა, მწვანეული, ბოსტნეული როგორათაც ადგილობრივისა ნათესისა, ეგრეთვე შემოსულისა სხუა ქვეყნებიდამ; დიდრონ-დიდრონი კომშები, ვაშლები, იქ-ვე ვნახეთ პატარა ტიკჭორა, ნიმუშათ წარმოდგენილი ივან პეტროვიჩის არჯევანიძის-მიერ, თუმცა თჳნიერ ღვინისა. — მეექვსე ოთახი წარმოადგენდა უთვალავს მატერიებსა, ესე იგი: დარაიას, ყანაოზსა, ეგრეთვე თჳთ სხუა და სხუას დართულს და დაგრეხილს აბრეშუმებს, შულოსა, ჟურალსა ორდუბათიდამ, ნუხიდამ, განჯითდამ, იმერეთიდამ. მეშვიდეს და უკანასკნელს ოთახში ნახევდით ნიმუშებს სხუა-და-სხუა ადგილების სასოფლო იარაღს, ტუავებს, სანთლებს, რკინეულს.

და ესრეთ ვიყავით ჩუენ განტკბობილი და აღტაცე-

## სხვა და სხვა ამბავი.

ზით სახილველათ საკვირველით. ეს იყო ჭეშმარიტი დღე-სასწაულება ბუნებისა და ხელოვნებისა, ერთმანეთ-ში მორიგებულისა. ვისტავკა იყო ღია ყოველ-დღე, ათის საათიდამ სამამდინ, და ამ დროს მოსწყდებოდა მრავალი ხალხი, რომელიც თავის-უფლად აუვლიდა და ჩაუვლიდა ამ მშვენიერს და იმგვის ბაზარს. ეს ბაზარი დაიკეტა დეკემბრის 23, მაგრამ მნიშვნელობა მისი არის დიდი, ამ შემთხვევას აქვს თავისი ნაყოფი. ეხლა ვიცით თუმცა მიახლოვებით, თუ რის მწარმოებელია აქაური ბუნება, რის შემძლენი არიან აქაურნი მოსახლე-ვა-რენი, რა გამოუვათ ხელიდამ აქაურით ხელოსანთ. ეს მეტად სასარგებლოა მით, რო გამოუჩენს და გაუმდიდრებს მათ მუშტარს, ხოლო მუშტრის გამოჩენა და გასაღების იმედი გააღონივრებს საქონლის პატრონს და შეიყვანს უმეტესს დაწყვა-ში და მეცადინეობაში. მეორე ვისტავკა-ში ნიმუშები თითქმის სულ კიდეც დაიტაცეს მუშტრებმა, და ვიცით რო ბევრი ხელ-ახლათაც დაიბარეს მოწონებული მათ-მიერ ნივთები შემდგომის დროს-თვის და შემდგომი მუშტართათვის მეტათ სასარგებლოა შედგენილი და გამოცემული სახოგადოებისა-მიერ კატალოგი ნივთებისა, რომელშიაც არის დაწვრილებით ნაჩვენება სახელები ნივთებისა, ფასი და საიდ-გან ანუ ვის-გან მოიპოვება ერთი ანუ მეორე საგანი. ეს კატალოგი იყიდება, და არის იმის ფასი ათი შაური.

თ.თ.

# სალაყბოს ფურცელი.

მშვიდობის ჩამოვარდნა მკითხველთან, ახალ-წლის-გამო. — მილოცვა ახალ-წლისა და სურვილი მოლაყბისა. — მასალა და იმედები. — ძველი სალაყბო. — კრივი. — ახალი სალაყბო. — სომხური გაზეთი. — ბულვარი. — სხვა და სხვა განსჯა. — ოპერა და მისი სნეულება. — ჟან-მარტინი და გაცრუებული თვალთმაქცობა. — ჯამბაზები და ჯამბაზების ცხენოსნობა. — მოგონება ძველებურის ჯირითისა. — თეატრი. — დასრულება ლაყბობისა.

წარსულს ფურცელში მგონია გულდაკლულათ განვშორდით ერთმანეთს, საყვარელნო მკითხველნო. მაგრამ ისეთი რა სამდურავი იქნება, რა მტრობა, რა ბოროტობა, რომელიც არ გაჰქარდეს, არ მოისპოს ყოვლის შემმუსვრელის დროისაგან. ყოველივე სუსტდება და ქარწყლდება იმის წინაშე ყოველივე — არამც თუ ჭირი და სავნო რამე გაცთა-თვს, არამედ თვით სიხარულიც, ლხინიც, ტრფიალებაც... ჩვენ, სუნტრი

## სხუა და სხუა ამბავი.

ქმნილებანი, ვემონებით დროს და მისს ყუულებას, და მხოლოდ, რომლისაც დასრულდება ერთი წელი და დაიწყობა მეორე, სხუა—ვეღარა გვიწამებიარა, ვესურვებთ ერთმანეთს ახალს წელ-თან ახალს ბედნიერებას, ძველს წელ-თან ძველის ჭირის დამხობას. და ესრეთ, დღეს არის დამდეგი ახლის ათას რვაას ორმოცდა მეთვრამეტის წლისა, გუშინ იყო დასასრული მეჩვიდმეტისა. მომიზურია თქუენთვის, საყვარელნო მკითხუელნო, ჩუენი მოხვევნანი, გმოცნი ძმურის კოცნით, მოგილოცავ ახალს წელს. ღმერთმა ინებოს, მოისპოს ყოველი ჭირი, ვნება, ბოროტი, ძველის წლისაგან მოყენებული; თვით ხსოვნაც აღარ დარჩეს, ამოიფხვრას გულის სიღრმიდამ. ჰსწორედ მოგახსენოთ, არ იყო მეტად მადლიანი წარსული წელი: გახსოვსთ ჯერ გვალვა, მერე ხოლერა, მერე ნიაღვარი. ბევრი, ბევრი ავი მოგვიყენებია.... წყეულიმც იყოს იმისი ფეხი, რომ აღარ დაგვიბრუნდეს; დავლოცოთ ახალ-ნაშობი წელი, დავდუდუნოთ ნანა, ვუგალობოთ ქება. იხაროს, აღორძინდეს ჩუენი სასიხარულოდ, ჩუენი საამოდ, სარგოდ. მთელი წელიწადი იყოს აღვსილი მხოლოდ ერთის სიხარულით, ლხინით, ამასთანავე თანხმობით, სარგებლობით. ვისურვი, ვისურვი გულის სიწრფელით, რომ ლხინი ლხინად დარჩეს, და ჭირი აღარ განმეორდეს. იცით, მკითხველნო, მეტადრე რას ვიწადი მე, თქუენი მონა და ფეხის-მტვერი? იმას, რო ჩამოვარდეს ჩუენში და თქუენში მეგობრობიანობა, თუ მეტი რამ მომივიდეს დაყუბობა, თქუენც მომი-

# ცისკარი.

ტევოთ და აღარ გამომეკიდნეთ: რა ვქნა, ჩემი ბუნება ეს არის, მაგრამ რაც მომდის მეტი, მერწმუნეთ მეტის ერთგულებით, მეტის თქვენდა კეთილის ნდომით. მე ვარ თქვენი მონა, თქვენთვის გაჩენილი, რომ არ მოიწყინოთ, არ მიეცნეთ მოღულებას. ბევრი მასალა გვიძევს წინ, უფრო უმეტესი იმედები. ბევრი რამ გვაქვს სათქმელი. ჩვენი რუდაქტორიც არ არის ეხლა უიმედო და უფროთ: როგორც მითხრა ყურში, ბევრნი საიმედონი კაცნი დამპირდებიან დახმარებას; ჯერ არ ახსენებენ იმათს სახელს. დავრჩებით ცოცხალნი, ვსცნობთ, დაინახავთ.

აი დავიწყე, აბა მომიგდეთ ყური.

აი გამოვედი შინიდამ..სად წავიყვანოთ, რა გიჩვენოთ? მოდი წავიდეთ ჩვენს სადაყობოზე! ხომ იცით სადაყობო რა არი, ან სად არი. არც-კია გასაკვირველი, რომ არ იცოდეთ, ან დაგვიწყებოდესთ. სადაყობო არი პატარა მოედანი, აქ, ძველის მეფეების სასახლის წინ.... მაგრამ მიხვდით. იქ, ძველს დროს იყო შუაგული, სადაც ყოველი ადგილობრივი ახალი ამბავი მოგროვდებოდა და ჰპოვებდა ბინას. იქ ჰსცნობდა კაცი კარგსაც და ავსაც ქალაქისას, ქართლისას, მთელის ქვეყნისას, სადამდინაც-კი გაჰსწვდებოდა გეოგრაფიული ცნობა მაშინდელთა ქართველთა. იმ დროს არ იყო არც ფოშტა, არც გაზეთები, მაგრამ მაშინაც ჰსცხოვრებდნენ, მაშინაც ტყობულობდნენ ახალს ამბავსა თუმცა არაეგრეთ მსწრაფლად,—სადაყობო იყო მაშინდელი

# სხვა და სხვა ამბავი.

ფოშტაც, გაზეთიც. — აი მძიმედ ნელ-ნელად, აქ-იქ ქუჩებიდამ ჩამოვლენ ხანში-შესულნი კაცნი, ჩამოსხდებიან ტაკის ხეებზე, და დაუწყებენ ერთმანერთს საუბარს:

— კნიაზო დიმიტრი, შეიტყვე რა მოუქარავს განჯის ხანს?

— რა მოუქარავს, არ შემიტყვია.

— ჩვენს ბატონს გადაჰხდომია.

— ეს მერამდენე დალატია?... აი შეურცხვა თავი, შეურცხვა კაცობა, ფუ იმის წვერ-ულვაშს... შენ-კი შეგიტყვია, კნიაზო ესავ, სარდლის სასახლეში რა მოხდარა? ნარდის თამაშობაში ივანე მდივანს გოგია მოურავის-თვის კამათლები პირში მიუყრია, და იმასაც გომბალი თავში უსროლია.

— არა, ეგ არა მჯერა, ვეჭობ ლილა წამხდარა...

ამ გვარი და კიდევ სხვა ამბავი, სალაყბო-ში გამოამჟღავნებული, მოიფინებოდა მერმე მთელს ქალაქ-ში, გაიბნეოდა სახლებ-ში, და ესრეთ საზოგადო ხალისის-მოყვარება იყო მოკლული და კმაყოფილი. — ჰო, სად ხართ, უწინდელნო დარბაისელნო, უწინდელნო თანა-მესაუბრენო, სალაყბოს ბოძნო, სალაყბოს ჩირაღდნო! გონებიანი იყო თქვენი სიტყვა, და რასაც იტყოდით, ყველას ჰქონდა ფასი. მართალ-ში არ ერია ტყუილი, ხუმრობა-ში ლაზღანდრობა. სად-ხართ, აღსდექით, გვასმინეთ თქვენი ხმა, გვასწავეთ, დაგვეხმარენით: თქვენი მრიელი, ჭკვიანი სიტყვა საჭიროა მეტადრე ჩვენის საბრალოს, მომქრალებულის ცისკრის-თვის..... მაგრამ, სად-ღა

# ცისკარი.

არიან ეს პატივცემულნი მოსაუბრენი პატივცემულის მკვდრის დროისანი? უმრავლოდ განისმის ჩუმი ძახილი, ჰმაოდ აღმიჰყრია კვლნი,—ჩამი-ჩუმი არ ისმის სალაყბოზე, მაძლევს ყრას მხოლოდ ცარიელი, ცივი ჭავრი... რა გვეშველება, მაშ სად წავიდეთ, რა გიჩვენოთ ღირსი ნახვისა?... მოდი გავიდეთ სეიდა-ბად-ში. იქა, დამოუნის-წინ, იმართება ხოლმე კრივი, მაგრამ, ვჰგონებ. ეხლა ვერც იმან გულსთ კმაყოფილი: გვექმნება გაგონილი უწინდელი კრივიანობა, რომე-ლშიაც გაერევოდნენ დიდის გვარის—პირნი, გა-ნაგებდნენ და განამხნევებდნენ მოკრივეთ. ეხლა ვინ-და არიან, ვიდა დარჩენილან იმათ სამაგიეროდ: ვჰხე-დავთ მოკრივეთ შორის ვინდაც ადამიანებს კარტუ-ზებით და გაგლესილის პალტოებით, და ესრეთ ამ კარტუზებს და პალტოებს დაუჭერიათ ადგილი მკვე-ლეუბრის კალმუხის ქუდებისა და ფარსაკაინის ქუ-ლაჯებისა.... დავანებოთ თავი კრივს, იქნება მომა-ვალს უკვლიერებში უკეთო დახათი დაედოს, წამო-ვიდეთ ქალაქის გულ-ში, ვნახოთ რას აღმოგვაჩენს აწინდელი საზოგადოებითი ცხოვრება, გამოცვ-ლილი და განახლებული.

დღე არის ზამთრიანი. მზე ჯერ კიდევ მაღლაა, სოლოლაკის თავ-ზე, მაგრამ, გაბმული გაცივებულის ბურუსიანს ჰაერში, არ იჩენს სხივებს და მდივს გამოადგავს ცუნგლიანს სინათლეს მკვდრის გორგ-ასლანის ქალაქს...ვეება შადრევანი, პოლიციის წინ აღმართული, თითქოს იუსტი მართლ-მსაჯულობის წყარო, არ ასმევს არავის თავის წყალს, რადგანაც

## სხვა და სხვა ამბავი.

არის უინვისკან შეკრული. მარჯვნივ, თამამშოვის ქარვასლის-წინ, წახვეულნი ბეწვიანს პალტოებში და შუბებ-ში, მიმოვლიან მცხოვრებნი ქალაქისანი გრძელს და განიერს ქჳს ფილაქან-ზე. ყველას კუნჭულს ქალაქისას ჰყავს თავისი განსხვავებული ხალხი. ესრეთ ზემოხსენებულს ფილაქან-ზე ჰპოვებთ ძველს მოქალაქეთ, და იმათთ სიმგვრლეში ახალგაზრდათ კაცთ, რომელნიც შეუდგებიან იმათს-ვე გზას და აპირებენ იმათებ-ვე დაძველებას. რა ურიგოა, იმათი მზრდელი ჰაერი არის ანგარიში, სარჩოს-შეძინება, ამ ჰაერში იბადებიან, ამ ჰაერში ჰსცხოვრებენ. ეს ბინა ერთ რიგად მიემგზავსება ძველს სალაყბოს, რომლის-თჳსაც მე ეხლა ასე ვჰსწუხ და ვოხრავ,) თუმცა ამ ახალს სალაყბოს სხვა ზნე ჰსჭირს, სხვა ბეჭედი აძევს, ესე იგი ვაჭრობისა და გამორჩომისა... აქ იტყობება წინათვე, თუ რა ფოლდრატები და რა აღებ-მიცემები უნდა შეჰსდგეს, იქვე შეიკვრის და გადაწყდება წინათ-ვე ყოველი ვაჭრული ამხანაგობა. ამჟამად ჰსწორე მოგახსენოთ მე ყური მიუპყარ იმ საგანს, რომელიც უფრო ეხლოების ჩემს ფიქრს. იქ იყო ბეჭდითი მასალათი ახლად დაფუძნებულს სომხურს გაზეთზე: მ ე ღ უ ჰ ა ი ა ს ტ ა ნ ი, და დიდს ზრუნვა-ში შედიოდნენ, თუ როგორ დაეხმარნენ იმის გამომცემელს. ბარაქალა სომეხთ მ ა მ უ ლ ი ს — შ ვ ი ლ ო ბ ა ს, არა გვანან ჩუენს ქართველებს. მე მიუახლოვდი ერთს უმაწვილ-კაცს მომსხოს ტანისას და დაბალს, რუსულად ჩაცმულს, კარგის საქართველოს გვარისას,

# ციხკარი.

თუმცა სარწმუნოებით სომეხს, და მოვახსენე: კნიაზ-ჯან, რა იქნება ჩუენის ციხკარისათჳსაც იზრუნოთ? შემამზღვირა უმაწვილმა-კაცმა და სიცილით მითხრა: ყველამ უნდა იზრუნოს თავის მ ა მ უ ლ ი ს ენის-თჳსაო.—ღმერთი გადღეგრძელებთ, სომხური ენა რა მამულის ენაა იმის-თჳს, რომლისაც შობითაც, აღზრდითაც, კნიაზობითაც ეკუთჳნის სრულიად საქართველოს მიწას?—მე იმას ვერა დავაჯერე-რა, და გულ-ამომჯდარი შემოვადექ ბულვარს, გალავნის ქუჩა-ზე.

აქ სრულებით სხჳა ჯურა ხალხი ინახვება. რუსობა, აქაური ახალ-გაზრდობა ევროპას რჯულზე გაზრდილი,—აი რა შეადგენს უმთავრესს საზოგადოობას ამ ფილაქნიანის ბულვარისას. რავდენს ნახავთ ამ უმაწვილ-კაცებ-ში, რომელთაგანაც არც-ერთს თავი ნაკლები არ უნდა არც-ერთს მინისტრ-ზე. იმათ სახე-ზე წაიკითხავ უმაღლესს რაღაც საგნებზე ზრუნვას.—აქ ყოველი ახალი ამბავი ანაზდად შეიტყობა, აიწონება კიდეც და განისაჯება. იმ დროს მქონდათ ლაპარაკი ერთს მოხელე-ზე, რომელსაც რაღაც საქმე გამოეძიებინა, აღმოეჩინა მტყუანნი, მაგრამ ბევრის კაი-კაცების წყალობით, თვით იმას-ვე საბრალოს უპირებდნენ სამართალ ქუეშ მიცემას. არ ვიცი-კი ბულვარზე როგორ გაასამართლეს იმის ბედი. იყო კიდევ ბევრი აღებ-დადება ახლანდელის ქალაქის კლუბ-ზე, რუსულს ჟურნალებ-ზე, სომხურს და სპარსულს გაზეთ-ზე, და აცა თუ

## სხჳა და სხჳა ამბავი.

ეხსენებინა ვისმეს ჩუენი საზრდელი «ცისკარი». — მაგრამ, უმეცრება თქმულობა და საჭუა იყო იმა-ზე, რომ ცუდი ამ ჟამად ჰსცხოვრებს და ჰსუნთქავს სახოგადოება ბუდკარის. იყო დიდი ხსენება ოპე-რისა და მისის მომღერლებისა — კაცისა თუ ქალისა. ყური მოვჰკარ ორის კაცის ბაასს: ერთი იყო ფე-რარის სიმღერის ქება-ში, მეორე პონტორილისა; მაგრამ ერთიც მაჰქარავდა, მეორეც. დავეწიე ერთს კაცს, რომელსაც წაეკითხნა მგელი პანტეონი და უკე-ლას აბეზრებდა თქმით, თუ რა ხმის პატრონია ახლად მოსული მომღერალი ფერზინგი. აქეთ — იქიდამ ისმოდა მხოლოდ სახელები: როსსინისა, ბელლინისა, დონიცეტისა, ვერდისა, მეიერბერისა, და ახე გამო-ნჯეთ ვაგნერისა-ც — ამ თანამედროვის გერმანიის კომპოზიტორისა, რომელსაც შემოუტანია ახალი კა-ნონები მუზიკის კელოვნებაში და თითქმის გული წაგვიხდინოს ტკბილი — მოსასმენს იტალიურს ჰანგე-ბ-ზე. არ ვიცოდი რა მექმნა, და მეგონა, რო ვიყავ არა გორგასლიანის ქალაქ-ში, არამედ მილანში, ანუ ვენეცია-ში. შემხვდა ერთი ჩადრიანი უმაწვილი ქალი, რომელიც მოდიოდა და იმახლათქუნის ბელლინის მზეს; ჩადრზე ეჭვი არ დამიდვათო. — ახლოს ქუჩი-დამ ჩამოირბოდა ერთი იმერელის მუშა და დაჰსძახოდა.

ფიგარო აქა,
ფიგარო იქა,
ფიგარო ზევით,
ფიგარო ქვევით!...

ახე სულ გადარეულან, ყველას მოჰსდებიათ ოპერის

# ცისკარი.

რაღაც ხნეულება. პატარა — ბიჭების კივილმა და დ ო ნ ნ ა მ ო ბ ი ლ ი ს ჴმაზე, ხომ ილაჯი წაიღო.

შემოღამდა ბულვარზე. მარცხნივ, გიმნაზიის ზალა გაჩაღდა სანთლებითა. ჯერ მეგონა, რო ეგზემენიაა მეთქი მოსწავლეთა, მერმე მივხვდი, რო ეს განათლების სახლი უთხოვებიათ ახლად მოსულის თვალთ-მაქცის ჟან-მარტინის-თჳს, რომელიც ადგენს იქ თავის ოინებს. აველი, ზალა იყო გატენილი ხალხით: ვჰსთქვი, მაშ რა-ში შეეტყობს მეთქი თვალთ-მაქცობა. წინ იდგა დამკლავებული, მსუბუქათ ჩაცმული და მარდის შეხედულობის კაცი, წარმოადგენდა ერთს-მეორე-ზე გასაკვირველს ოინებს. აქ თავებს წაგლეჯდა ტრედებს და ისევ გამოაბამდა, იქ ცარიელის კულცახოცილამ გამოჰსდგავდა ვეება ბადიას წყლითა და სავსეს თევზებითა. ერთს პატარა ბიჭს აუკრა მაგრა თვალები, პირიც კედლის-კენ აქნევინა, მერმე მოჰსთხოვა მცქერლებს ქაღალდის ფულები, და იქ ბიჭს გამოაცნობინა, თუ ფულები რავდენიანია, რა ნომრებიანია და რომლის წლისანი. მცქერლნი, მეტადრე ქალნი, გაკვირვებულნი იყვნენ ამდენს სასწაულ — მოქმედებაზე, ბეჯითად ჰსცემდნენ ტაშს და შედიოდნენ გამოუთქმელს აღტაცება-ში. ბოლოს იმ კუდიანმა გამოიტანა ცარიელი ბოთლი, და ვინც რა მოინდომა, ცარიელის ბოთლიდამ წამოუსხა რუმკებში, ვის ლიქორი, ვის ხერესი, მადერა და სხუა-და-სხუა ევროპის ღვინოები. მე მომივიდა ერთი მოჰსწრობილი ფიქრი, და იმ დროს, როდესაც ტაშის-კვრით დაურუებული თვალთ-მაქცი მიიქცევოდა სტოლის-კენ,

# სხუა და სხუა ამბავი.

წამოვეწიე, ვჰსტაცე ხელი და ვუთხარ: არა, მუშტო, მომიცა, შორს რად მივდივართ, თუ რო რამ ოს-ტატობა შეგვიძლია, გაარჩიე ყანწი ან აზარფეშა და დამისხი ჯაშნიკი ჩემის საყვარლის და სამშობლოს კახურის ღვინისა, დამისხი საკუთრივ ჭავჭავაძის ჩვრის ღვინო. ჰსწორედ მოგახსენოთ, ეს განთქმული წარჩინებული ოინ-ღარი უცებ გაშრა, დაიკარგა, თითქოს თითონავე მოჰსდევოდა რაღაცჯადო, არ იცო-და რა იქმნა. სისწრაფით და ენის რეკით წამომძახა: უჩაცრავათ. კიდეც გავათავეთ აქამდინ სად იყავით. და ესრეთ, ვერც ყანწისა და ვერც აზარფეშის გაჩენა ვერ შევიძლით, კახურის ჯაშნიკისა რაღა მოგახსე-ნოთ. სირცხვილეულმა უიცხლავ წამოაშენინა მუზიკას, თავი დაგვიკრა, გამოგვეთხოვა და გვითხრა: წარ-მოდგენამდინაო. და მას აქეთ, არმაც თუ კიდევ როდისმე ჰქონია წარმოდგენა, აღარცკი სადმე დაგვინახვია. ასე ვიცით ჩვენ გაცრეუბა თვალთ-მაქცებისა, იმათი მოსატყუარი არავინ არი. «აქეთ მოიხედე, ჩვენო მოლაყუკე, ბარაქალა!» მომძახიდნენ ყველანი, ჩამოვიდოდი-რა, ვითა მღვდელ მოსილი მოლაშქრე, კინეზ. მაგრამ მე ყური არა ვის ვათხოვე და ჩამოველ ბაკა ბუკით ისევ ტრო-ტუარ-ზე. მეტად მომიჭირა სიცივემ, დავაპირე ასვლა კლუბში, რომელიც იყო გაჩაღებული და იწყო მუნ დროშების დენამ: მაგრამ მომაგონდა. რომ იქ იშოვება ერთი ცხრის-მოთამაშე გვამი, რო-მელიც ველ-მარდობით თითქმის ჯან-მარტინსაც არ ჩამოუვა, და აღარ ავედი. მე ოინები თვალთ-მაქცებ-

# ცისკარი.

შიაც მეჯავრება, არამც თუ კეთილ-შედგენილს საზოგადოებაში.

მეორე საღამოს, ისევ იმავ გზით, ამოვედი კიდევ ბულვარზე. ამ გზობით იყო სხვა სანახავი. პირ და პირ, ზედ გზის პირ-ში, სადაც დგას ახლად-აღგებული ფიცრის შენობა, ეკიდა დიდი ოთხ-კუთხიანათ ანთებული ფარანი; ფარნის ზემოთ, ბოძზე, ფრიაალებდა იალქანი, და გვერდითაც იყო ჩამოკიდებული დიდი ტილო, რომელზედაც სინათლე-ზე გაირჩეოდა გამოხატული ვეება გარეული დათვი. მე მაშინვე შევნიშნე, რომ ეს უნდა იყოს სახლი მხეცებისა, რომელიც დიდი ხანი არ არის მოუყვანიათ შორის ქვეყნიდამ ტფილის-ში საჩვენებლად. ხალხმა წამიტაცა და წავსდგი ფეხი. კარებ-ზე ეკრა ფურცელი, რომელ-ზედაც წავიკითხე: პირველი ადგილი ათი შაური. რაო? ვიფიქრე. ნუ თუ მხეცების ნახვა-შიაც უნდა ფული გაძლიო. მაშინ როდესაც ჩუენ მხარეს რავდენი მხეცია: ამ გვარ საქონლით ნუ-თუ ვინმემ გაგვაკვირვოს? მერმე რა, საქმე რად გავიჭირო, რად დავეგლეჯინო; მაგრამ აღმოვიკითხე რა იმავ ფურცელ-ზე, რომ მხეცები არიან მაგრად დამწყვდეულნი რკინის ყაფაზებში, ვსთქვი. მადლობა შენთვის — მეთქი, და შევედი. ვნახე მართლად მრავალი საკვირველება: ერთი დიდი გველი, წოდებით ბოა კონსტრიკტორი, თითქმის თორმეტ-ცამეტი ქართული ადლი სიგრძე, ინდოეთი-დამ გამოყვანილი, რომლისაც მითხრეს თვით ლომსაც ერევაო. ძლიერით დიდებული, გველს გველობა არ ეტყობა, რომ ამისთანა

## სხუა და სხუა ამბავი.

ღონიერიც არ იყოს. კარგი რომ ამ გვარ ცხენს აქ ვერ იშოვი: აქაური ცხენები სულ გალეული ხალხია. მერმე იყო ჭრელი ფოცხვერი, საშინელი კაცის მჭამელი; მერმე მაიმუნები, ტურები, თაგვები და სხუა და სხუა ფერის თუთიყუშები: ამ გვარებიც ბევრია ტფილის-ში. იყო კიდევ ერთი მგელი ფრა-ნციიდამ, ორი ამერიკიდამ: რა მოგახსენოთ ღირდა იქიდამ მოუყვანად:

მესამე გზობით, სადამოს-ჟამს, ჩაველ უაზახ-ზე, სადაც თითქმის ნახევარი ამ მეიდნისა უჭირავს სხუა ფაცრით აღგებულს შენობას. მუზიკა იკვ-როდა და იყო დიდი ხალხის დენა. იქ წარმოადგენენ თავანთ ჰუნრებს პეტერბურღიდამ მოსული ჯამბაზები და გვიჩვენებენ თავანთ ცხენოსნობას. ბევრი კარგი ჯამბაზები მინახავს ჩემს სიცოცხლეში, ბევრს კაი ცხენოსნებს მოვსწრებივარ, და ამისთჳს გული არ მიმდიოდა რომ შევსულ-ვიყავ და მენახა ეს ახლად მოზმანებული ხალხი, მაგრამ რა ქელი ვურჩება? თქუენთჳს, სულ თქუენ-თჳს, საყვარელნო მკითხველ-ნო, რომ გაგართოთ, გასიამოვნოთ. ლაზღანდ-რობა ხომ გიყვარსთ, და აი შევიდე, ნუ დაგზო-გავთ ერთ-ორ მინალთუნს, ამიტომ რომ ჩუმრობა არ არის ვეღარ ვნახავთ, კარებ-ში გვიცხადებენ, რომ დიდ ხანს აღარ დავრჩებით ტფილის-ში, წავალ-თო, და დამრჩებით უნახველით. რადა გვეშველება???

ჰსწორე მოგახსენოთ, მე დიდად მომეწონა შინა-განი გამართულობა, თუ საჯდომი ხალხისა, თუ წა-რმოსადგენი. დაიწყეს ჯერ გაჭიმულს თოკზე ხტომა

## ცისკარი.

ქალებმა და კაცებმა. დიდი კარჯისა გახლავთ, დიდი გამბედველობაა სიარული თოკზე, რომელიც არის გაჭიმული მხოლოდ ორასამ მტკაველზე ადგილიდამ. არა ჰგვანებიან ჩუენებურს ჯამბაზებს, რომელნიც როცა თოკზე დაჰხტიან, იტყვი ჰაერში იკარგებიანო და წინათვე ესალმები იმათ. მერმე ატყდა ცხენების ჭენება, და რა ცხენებისა, თითქოს ციკნები იყვნენო. წარმოიდგინეთ რკალივით შემოფარგლული ადგილი, სულ მგონია არ იყოს ოცდა ათი ნაბიჯი იმგრ-გვლივ; გამოათრევდნენ თითო-თითო ცხენს, შე-მოახტებოდნენ ზედ, ესე კი უნდა ვჰსთქვათ მეტად მარდად ნამეტნავად ქალები, და არბენინებდნენ. ვუყუ-რე, ვუყურე, თუ როგორ ტიტველა დედაკაცები უბელო ცხენებს გავაზე ახტებოდნენ: აი თქუენც შეგვარცხვინათ მეთქი და ამას იქით თქუენთან მომ-სვლელიც. იმის შემდგომ დაიწყეს მალაყები და სხუა კიდევ რაღაც მიქარვები. წამოვდექ საჩქაროთ და გამოვარდი გარეთ. ბნელი და ცივი ღამე აწვა ყაზახს, თუმცა ვარსკვლავებს ყინვისაგან მოჭყერილს გაჰქო-ნდათ კაშკაში. მომაგონდა ძველის დროს შექცევები, უწინდელი ასპარეზობა, უწინდელი ჯირითობა ყაზახ-ზე, სადაც, როგორც მოგვითხრობს მელექსე (თავადი გ. ო.):

. . . . . . . . . . . დღესასწაულსა,
შექცევით, ლხინით მოწოდებულნი,
ჭაბუკნი კაცნი ყაზახსა ვრცელსა,
ტურფად დარახტულ და დარაზმულნი,
ვით ალვა რგულნი ცხენზე უძრავად,

## სხუა და სხუა ამბავი.

მოჰქრიან მგრეთ, ვითა ნიავი...
ჰკრეს ნაღარასა — განიყვნენ ორად,
აჰა საამო ჰსჩანს სანახავი!
ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი,
ურთიმაჯვთ ბრიალი,
ცხენიდ-გან ხტომა, კჳალად შეხტომა, უზანგთა
ცემა, და კრმალთ კრიალი!
ზოგი არწივსა,
ზეცას მფრინავსა,
ისრითა მკვეთრით მკერდსა განუკვეთს;
ჯირითი ზოგის,
ზუზუნით მოჰქრის
და თჳსსა ნიშანს შორს გარდუმახვებს.

. . . . . . . . .

დავჰხედე საათს და იყო მერვე. საჩქაროთ გავე-მგზავრე თეატროში. იყო დანიშნული ს ე ვ ი ლ ი ი ს დ ა ლ ა ქ ი . . . . მაგრამ კმარა ამდენი ლაყბობა, მეტად დავიღალე და მგონია თქუენცა ბლომათ დაი-ღალენით. ზოგი კვლავ იყოს. მეტადრე ხომ იცით თეატრი ჩემი ჰომონია: იმაზე გადამიგია ჩემი სიცო-ცხლე, იქ მიტირნია, იქ მიცინია, იქ დავმტკბარ-ვარ... დარჩეს თეატრი შემდგომს ფურცლამდინ....

მოლაყბე.

# რ ე დ ა ქ ც ი ი ს-გ ა ნ.

---

ამ წლის 1858 პირველის იანვრიდამ, ჩუენი ჟურნალი «ც ი ს კ ა რ ი », ახლანდელს რედაქციის ქუეშ, ჩადგა მეორეს წელიწად-ში. როგორც გაიარა პირველმა წელმა, ამის დამნახავი საზოგადოებაა. მომადლებული იქმნება ჩუენგან, რო ჩუენ-ვე შევი-დეთ განხილვა-ში როგორიათაც ნაკლოვანებისა, აგ-რეთ-ვე ღირსებისა ჩუენის ჟურნალისა. ნაკლოვანება იყო ის, რაჲცა ეთჳსება ყოველს ახალს დაწყებულს საქმეს, ესე იგი: ღონის-ძიების უქონლობა, მასალის სისუსტე; ხოლო ჩუენ თავ-მოწონებით ვაღვიარებთ, რო ღირსებად უნდა ჩაგვეთვალოს: ამდენს დაბრ-კოლებაებ-თან სასოს-წარუკვეთლობა, დადგრომ-ლობა, სიმტკიცე, მხნეობა, რომელთაც გამოგვიყ-ვანეს თითქმის მძლეველად და მიგვახწევინეს ჩუენ-და წინა-დადებულს საგანამ-დის.

ეხლა ვჰგონებთ არარა გაგვიჭირდეს-რა: ერთმა მცოდნემ და განათლებულმა პირმა მიიღო დაახლო-ებული და ნამდვილი თანა-შემწეობა ჩუენი. ამ პირველის წიგნის ნახევარი იყო უჩუენ აღბეჭდილი, რომლესაც იმან წინა-დაგვიდო თავისი თანა-მეშრო-მლობა; ამის-თჳს იმისი კალამში შემოვიდა მხოლოდ მეორეს ნახევარ-ში, ესე იგი ს ხ უ ა და ს ხ უ ა ს ა მ ბ ვ ე ბ ი ს ნაწილ-ში. მშუენივრად შედგენილი,

თუმცა შემოკლებული, სტატიები მისი რასაკვირვე-ლია შენიშნულ იქმნებიან ყველასაგან და მიიზიდვენ საზოგადოების ყურადღებას. — ამას-იქითაც აღგვითქვა იმავ პირმა დახმარება თავის მეშრომლობით და თვა-ლის-გადავლება თვითეულის ჩუენის წიგნისა, და ჩუენცა ღრმად და გამოუთქმელად ვმადლით მას მით-უმეტეს, რომ იმისი ღუწვა ამ საზოგადოებისა და საერთო საქმე-ში არის სრულებით უანგარო და კეთილ-შობილური.

ამ გვარისავე თანა-შემწეობისა დაპირება განგვი-მეორეს სხუათა გამოჩენილთა ლიტერატორთაც: კნიაზ რაფაელ ერისთავმა, ნიკოლოზ ბერძენოვმა, დიმიტრი ბაქრაძემ, და ეგრეთ-ვე კნიაზმა რევაზ შალვას-ძემ ერისთავმა, და სხუათა, რომელთაც ზოგი ერთი თხზულებანი კიდეც იპოვებიან რედაქცია-ში, და ზოგი — ერთსაც მოველით.

მაგრამ საკვირველია, ეს იმედები და აღთქმანები იყო თითქმის ნანიშნები და მხედველობა-ში შემო-ტანილი საზოგადოებისა-თჳს წარსულის წლის უკა-ნასკნელს წიგნებ-ში; აქამდის-კი ჯერ ბევრით არ მოუთხოვნიათ ამ წლის ცისკარი. თუ-კი შარშან, იმ ქისეტობა-ში, იყო მრავალი მუშტარი, მაშ ეხლა ამდენს იმედებთან, უფრო არ უნდა მრავლდებოდნენ და ხშირდებოდნენ ხელის-მომწერნი. ვიმედეულობთ რომ ამ ჩუენს შენიშვნას სულ-მოკლეობად და მოუთმენლობად არ ჩამოგვართმევენ, არამედ დაი-ნახვენ სრულიად კანონიერად, ამიტომ რომ ჩუენცა ჩუენის თადარიკის დაჭერა გვმართებს წიგნის დაბეჭდვის თავობა-ზე, რომ ნაკლებას რიცხვის

დაბეჭდილთ მუშტართ არ გაუჭირდესთ წიგნების მო-პოვება, ხოლო მომატებულის დაბეჭდით ჩვენც არ შევიდეთ ზარალ-ში, რადგანც ჩვენი შეძლება ყველას კარგად მოეხსენება.

რედაქცია იგივეა და ჰსცხოვრებს იმავ ბინა-ზე. ფასიც «ცისკრისა» არის ერთი და იგივე. ჟურნალი გამოიცემა ისევ იმ პროგრამით, რომელიც არის დამტკიცებული მაღლის მთავრობის-მიერ. მხოლოდ სანახაობა და სტატიებისა გარიგებას მიეცემა განვითარება და უმჯობესი წესი. ოთხი წიგნი ჟურნალისა შეადგენს თვითო ტომს, ანუ ნაწილს, ამისთვის ოთხსავე ექნება ერთი ნუმერაცია, მისთვის რომ როდესაც ოთხი წიგნი გამოვიდეს, ჴელის-მომწერელთ შეეძლოსთ ერთად გადაბმა და ერთის ყდის გაკეთება. მეოთხეს წიგნთან საკუთარი სარჩევიც დაურიგდებათ ჴელის-მომწერელთ.

რედაკტორი და გამომცემელი ი. კერესელიძე.

1 იანვარს 1858. წელსა

ლექსები:

გამოსალმება . . . . . გ. რჩეულოვისა.

ბულბული . . . . . . . ი. კერესელიძისა.

თხისა და მგლისათვის. თ. ალ. ჭავჭავაძისა.

ანბანთ ქება . . . . . . დ. ბაგრატიონისა.

ლომი შემადგენი სამხ-
ჟავროესა . . . . . . დ. მგალობლოვისა.

მღურვა კავკასის მთისა. კ. ეჟ. ჯანდიეროვისა.

ვირი და ბულბული . . . ი. კერესელიძისა.

შვილი უმანკოებისა, დრამა ხუთს
მოქმედებად. . . . . . . . . ი. კერესელიძი

მიზეზისათვის ვაზის სნეულებისა და
მისის წამლობისათვის . . . . ზ. მამაცოვის

სამგზავრო წიგნები. წიგნი მეორე ი. კერესელიძ

სხვა და სხვა ამბავი. (ნახ. მეორე გვერდი.)